

ჰუნტინგტონი
ჯორჯია

K 248-116
3



თქუნი
გადართი

F 67.577
3

K 214.995-96
3



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ბ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის
ინსტიტუტი



ვახტანგ ჯობაძე

ეროვნული
ენციკლოპედია

ოშკის ბაქარი

(ორი წერილი ოშკის ტაძარზე)



თბილისი
„მეცნიერება“

1991

1. ქართული ხელოვნების ისტორია

2. ოშკის ციხე

საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენი თანამემამულე, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე და არქეოლოგი ვახტანგ ჯობაძე 1965 წლიდან სისტემატურად იკვლევს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონის—ტაო-კლარჯეთის რეგიონულ ძეგლებს. 1989 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო პრემიის საპატიო წევრად.

წიგნში წარმოდგენილია მისი ორი სტატია (კტიტორული რელიეფები და ოშკის ეკლესიის დათარიღება; ევდრების ოთხი თემა ოშკის ტაძარში), მიძღვნილი ოშკის ტაძრის ფიგურული სკულპტურისა და კედლის მხატვრობისადმი.

ოშკის ტაძარში მუშაობიას ვ. ჯობაძემ მიაკვლია ახალ, მანამდე უცნობ, მასალას, მეტად მნიშვნელოვანს საერთოდ ამ მხარის ისტორიის თვალსაზრისით, რომელიც პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე. საყურადღებოა ისტორიულ-ხასიათი წარწერაც, რომლის საფუძველზე შეკვლევარმა ოშკის ტაძრის აგების თარიღი 963—973 წლებით განსაზღვრა.

წიგნი საინტერესო იქნება როგორც ამ დარგის შეკვლევართათვის, ისე ფართო მკითხველს საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ნ. ალადაშვილი
(ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი)

რეცენზენტები — ალ. ჭავჭავაძე
(ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი),

დ. თუმანიშვილი
(ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი)

K 248.116
3

სკეპ-2000
შეგონებულთა

4935010000
ჭ 607 (06)—91 166—91 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991

ISBN 5—520—01085—4

საქართველოს
პარლამენტის
საგარეო ურთიერთობების
სამსახური



ვახტანგ ჯობაძე — საქართველოს კულტურული ცენტრის
ხელოვნების ისტორიის მკვლევარი

ორმოც წელიწადზე მეტია საზღვარგარეთ მეცნიერულ მუშაობას აწარმოებდა ცნობილი ხელოვნების ისტორიკოსი და არქეოლოგი პროფესორი ვახტანგ ჯობაძე, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარე ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების გამომხეურებასა და შესწავლაში*.

ვ. ჯობაძე დაიბადა 1917 წელს, თბილისში, აქვე მიიღო საშუალო და უმაღლესი განათლება. 1940 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ასპირანტურაში, ხელოვნების ისტორიის განხრით. ახალგაზრდას ასპირანტურის დასრულება არ დასცალდა, რადგან 1941 წელს ომში გაიწვიეს. ჯერ ბრძოლებში მონაწილეობამ, შემდეგ ტყვეობამ დროებით ჩამოაშორა ვ. ჯობაძე ერთხელ არჩეულ საყვარელ საქმეს. ომის დამთავრების შემდეგ (1945—1949 წლებში) იგი გეტინგენის, ფრაიბურგისა და ერლანგენის უნივერსიტეტებში იღრმავებს ცოდნას კლასიკურ არქეოლოგიასა და ხელოვნების ისტორიაში. 1949 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე „ახულის ხატი“.

ვ. ჯობაძემ მოღვაწეობა დასავლეთ ევროპაში დაიწყო, 1953 წლიდან კი აშშ-ში გადავიდა. მუშაობდა ჯერ პარჯარდისა და ილტას უნივერსიტეტებში, ხოლო საბოლოოდ დამკვიდრდა ლოს-ანჯელესში. იგი კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

ვ. ჯობაძე ბიზანტიური და აღმოსავლეთქრისტიანული ხელოვნების თვალსაჩინო სპეციალისტია. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იგი შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების კვლევას. მშობ-

* 1959 წელს ვახტანგ ჯობაძის „თბილისში“ (7.IV.№ 14) გამოქვეყნდა წერილები მეცნიერის მოღვაწეობისა და მისი ნაშრომების შესახებ.

ლიურა ქვეყნის კულტურისა და ისტორიის კვლევის საქმეში დამსახურებისათვის ვ. ჯობაძე 1989 წელს არჩეულ იქნა საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრად.

მეცნიერის კალამს ეკუთვნის ნაშრომები მცირე ხელოვნების დარგში, მათ შორის სახელგანთქმული ხახულის ხატის მონაქრებისა (1952 წ.)¹ და მადრიდის ერთ-ერთ მუზეუმში დაცული ქართული მონაქრის (1953 წ.)² შესახებ. სპეციალურ წერილში (1960 წ.) ე. წ. პოსტიანტიური, ე. ი. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს მცირე ხელოვნებაა განხილული. მაგრამ ვ. ჯობაძის კვლევის ძირითადი ობიექტი ხუროთმოძღვრება და მისი დეკორატიული გაფორმება, კერძოდ კი ეკლესიების შემამკობელი ფიგურული სკულპტურაა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ვ. ჯობაძეს უცხოეთში არსებული ძველი ქართული კულტურის კერების გამომზეფრებასა და მათ შესწავლაში. 1962—1967 წლების განმავლობაში იგი სისტემატურად აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს სირიაში, ქრისტიანული კულტურის უძველესი ცენტრის ანტიოქიის (მდ. ორონტეს) მიდამოებში. ლიტერატურული წყაროების მოწმობით, ანტიოქიის შემოგარენში აღჩინდელი ხანიდან ქართული მონასტრებიც არსებობდა, ხოლო X—XI საუკუნეებში შავ მთაზე შეიქმნა ქართველების სამეცნიერო და მწიგნობრული მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ცენტრი, სადაც მრავალი ქართული ხელნაწერია გადაწერილი. ანტიოქიის რეგიონში განლაგებულმა ეკლესია-მონასტრების ნანგრევებმა დღემდე შემოგვინახა ქართველთა მოღვაწეობის კვალი.

ვ. ჯობაძემ სამი ცნობილი ნამონასტრალი გამოიკვლია. ერთ-ერთია ბარლამის მონასტერი კასიუსის მთაზე, სადაც ისტორიული ცნობების მიხედვით, X ს-ის დასასრულიდან გამოჩნდნენ ქართველი ბერები, რომლებმაც ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნეს წმ. ბარლამის ცხოვრება. ქართველების ამ ყოფნის დამადასტურებელია გათხრების შედეგად ნაპოვნი ქვის ფრაგმენტები ქართული ჩუქურთმითა და ასომთავრული წარწერით. ვ. ჯობაძე გათხრებს აწარმოებდა აგრეთვე სვიმეონ მესეეტი (უმცროსი) საკვირველმოქმედის სავანეში, სადაც

¹ Los Esmaltes del Icono Jajuli. Archivo Español del Arte, 97, 1952.

² Esmaltes Ceculares en el Museo Lazaro Galdeano. Archivo Español del Arte, 102, 1953.

³ Notes on Georgian Minor Art of the Post-Byzantine Period. The Journal of the Wallers Art Gallery, 23, 1960.

ქართველებს თავისი ეკლესიები ჰქონდათ. განსაკუთრებით საყურადღებოა შავი მთის ქართული მონასტრის შესწავლას შედეგები. აქ გამოჩნდა ქართველთა უშუალო სამშენებლო მოღვაწეობა XI ს-ში. ვ. ჯობაძემ დაადგინა, რომ შავი მთის სამხრეთ კალთაზე მდებარე ნანგრევებად ქცეული ეკლესია — ე. წ. ჩაწერილი ჯვრის გუმბათოვანი შენობა ოთხი თავისუფლად მდგომი ბურჯით — განერთარებული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ტიპურ ნაგებობას წარმოადგენს. ეკლესიის შემამკობელი მღვდელმთავართმის რეპერტუარისა და შესარულების ხასიათის, აგრეთვე ამ აღმორჩენილი ქართული წარწერების პალეოგრაფიის განხილვის საფუძველზე ავტორმა ეკლესია XI ს-ის მეორე ნეოთხედით დაათარიღა. უშუალო პარალელებს იგი XI ს-ის ქართული არქიტექტურის სახელგანთქმული ძეგლების — ნიკორწმინდის, სვეტიცხოვლის, სამთავისის დეკორში პოულობს, რაჲ სავაებით ასაბუთებს ვ. ჯობაძის დასკვნას, რომ ეკლესიის ხუროთმოძღვარი ქართველი იყო, იაევე როგორც მშენებელი და ქვის მჭრელი ოსტატები, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნით ჩამოიყვანეს საქართველოდან. განსაკუთრებული სიახლოვე სამთავისის ქვაზე კვეთილობასთან საფუძველს აძლევს ვ. ჯობაძეს გამოთქვას მოსაზრება, რომ შესაძლებელია, შავ მთაზე მუშაობდნენ იმ სახელისნოს ოსტატები, რომელთაც 1030 წელს ქართლში ეს ეკლესია ააშენეს.

ასევე დასაბუთებულია შავი მთის ამ ეკლესიას ვ. ჯობაძისეული იდენტიფიკაცია: რომ ეს უნდა იყოს დავით ჯიბისძის მიერ XI ს-ში აგებული „ძელი ცხოვრების“ ეკლესია, რომელიც მოხსენიებულია მასი ძმის იოანე ჯიბისძის მიერ შავი მთის რომაინას მონასტერში გადაწერილი სვინაქსრის (H—2211) ანდერძში.

საყურადღებოა აგრეთვე XI ს-ის მეორე ნახევრის A-845 ხელნაწერის მინაწერებში მითითებული „ღერწმის ხევის“ მონასტრის აღვილიმღებარეობის დადგენა, რასაც უძველეს ხდის ნამონასტრალის ტერიტორიაზე ნაპოვნი ჩუქურთმიანი ფრაგმენტები და ორი ქართული წარწერა.

ამრიგად, არქეოლოგიური მონამოვრების შესწავლამ დაადასტურა ქართველ ხუროთმოძღვართა და ქვის მჭრელთა მოღვაწეობა ანტიოქიის მიდამოებში. ქვაზე კვეთილი ორნამენტული მოტივების შესარულება აქ ნაღალი დონით გამოირჩევა და ამ ეპოქის ქართული ხელოვნების დიდი მიღწევების მანიფესტებელია.

ანტიოქიის მონასტრების კვლევის შედეგები სისტემატურად ქვეყნდებოდა საზღვარგარეთის ქვეყნების ავტორიტეტულ ჟურნალებში⁴; ქართველ ოსტატთა მოღვაწეობა შავ მთაზე წარმოდგენილი იყო ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ II საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხ. ნებამში⁵.

მოპოვებული მასალა ორ წიგნშია თავმოყრილი:

1. მასალები ანტიოქიის (ორონტზე) ქართველთა მონასტრების შესწავლისათვის (ლუვენო, 1976)⁶.

გიორგი მთაწარი

ნაშრომში მოყვანილია როგორც ქართული, ისე უცხოური ისტორიული წყაროები ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ანტიოქიის რეგიონში; ავტორის მიერ გამოკვლეულია 14 მონასტერი, რომლებიც X—XIII საუკუნეებში არსებობდნენ. გამოქვეყნებულია შავი მთის ქართულ საგანეების სკრიპტორიუმებში გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები, რომლებიც საყურადღებო ცნობებს შეიცავენ საქართველოს კულტურულ კერებზე ანტიოქიაში. ისტორიული მონაცემების საფუძვალზე, წიგნში განხილულია საქართველო-სირიის ურთიერთობა განვითარებული შუა საუკუნეების ხანაში.

II. არქეოლოგიური შესწავლა ანტიოქიის (ორონტზე) დასავლეთ რეგიონისა (შტუტგარდი, 1988)⁷. ეს წიგნი არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი არქიტექტურული ძეგლების განხილვას შეიცავს. შემოთხენილი ნანგრევების შესწავლის შედეგად, ავტორი გვთავაზობს ეკლესიათა გეგმისა და არქიტექტურულ ფორმათა რეკონსტრუქციას. ეს კი, არქიტექტურული დეტალებისა და ჩუქურთმის

⁴ Vorläufiger Bericht über Grabungen und Untersuchungen in der Gegend von Antiochia am Orontes. Istanbuler Mitteilungen, B. 15, 1965.

⁵ Second Preliminary Report on the Excavations in the Vicinity of Antioch on-the-Orontes. Türk Arkeoloji Dergisi, XIII, 4, 1965.

⁶ Third Campaign in the Monastery of St. Barlaam. Türk Arkeoloji Dergisi, XIV, 1—2, 1967.

⁷ Report on Archeological Activities in the Vicinity of Antakia. Türk Arkeoloji Dergisi, XIII, 4, 1965.

⁸ Свидетельства деятельности грузинских мастеров в западных окрестностях Антиохии на Оронте. II Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, 1977 (იხილ. ანგლისურ ნაშვ.).

⁹ Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on-the-Orontes. Corpus Scriptorum Orientalium.

¹⁰ Archeological Investigations in the Region West of Antioch on-the-Orontes, Stuttgart, 1986.

ანალიზთან ერთად, მტკიცე დასაყრდენს ქმნის მათი დათარიღებისათვის, რაც გამაგრებულია პარალელური მასალით საქართველოს ხელოვნებიდან.

ვ. ჯობაძემ დაამუშავა აგრეთვე საკითხი ქართველთა კოლონიების შესახებ კ. კვიპროსზე⁸, რომელთა არსებობაც ცნობილი იყო ისტორიული მონაცემებიდან, მაგრამ მათი ადგილმდებარეობა შესტად არ იყო დადგენილი. მათ შორისაა ქართულ წყაროებში აღნიშნულია შენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსებთან მოხსენიებულია (ღალიას) მონასტერი. ვ. ჯობაძემ იგი ვატიკანში დაცულ დოკუმენტში დასახელებულ იალიას მონასტერთან გააიგივა და დაადგინა მისი ადგილმდებარეობა დღევანდელ ქ. იალიას მახლობლად. სამონასტრო კომპლექსის ნანგრევების შესწავლამ დაადასტურა მისი ქართული წარმოშობა. აქ აღმოჩნდა კვიპროსის არქიტექტურისათვის უჩვეულო ტიპის სამაბაიდიანი ეკლესია, რომლის პარალელურსაც ავტორმა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი პროვინციის ტაო-კლარჯეთის IX—X სს-ეების ხუროთმოძღვრებაში მიაკვლია. ღალიას მონასტრის ხანგრძლივ ფუნქციონირებაზე მიუთითებს ასომთავრულით შესრულებული ქართული წარწერები, რომლებიც მშენებლობის პერიოდს კი არ ეკუთვნიან, არამედ მოგვიანებით (XIII—XIV სს.), სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირის მიერაა ქვაზე ამოკვეთილი. კვიპროსზე ქართული სამონასტრო კოლონიების დაარსების ფაქტს ვ. ჯობაძე ხსნის კუნძულის სიახლოვეთ ჩრდილოეთ სირიასთან, სადაც X—XIII საუკუნეებში ქართველები დიდძალ მონასტრებს ფლობდნენ. გარდა ამისა, კვიპროსი ანტიოქიის ეკლესიას ექვემდებარებოდა.

ვ. ჯობაძის დასახელებული გამოკვლევები ნათელს ფენენ ქრისტიანულ კულტურულ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობის საკითხებს.

ვ. ჯობაძის ყურადღების ობიექტია კტიტორთა გამოსახულებანი ქართულ სკულპტურაში. 1960—61 წლებში მან გამოაქვეყნა წერილი მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის კტიტორული რელიეფების შესახებ⁹. ვ. ჯობაძე იზიარებს ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენილ

⁸ Observations on the Georgian Monastery of Yalía (Galia) in Cyprus. Oriens Christianus, 1984, B. 68. შენიშვნები კვიპროსზე ქართული მონასტრის იალიას (ღალიას) შესახებ, ნაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, თბილისი, 1967.

⁹ The Sculptures on the Eastern Façade of the Holy Cross of Mtskheta. Oriens Christianus, B. 44, 1960, B. 45, 1961, Wiesbaden.

საერთო პირთა ვინაობის ქართულ ისტორიოგრაფიაში (ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი) მიღებული განსაზღვრას, რომლის მიხედვითაც შუა რელიეფზე გამოსახულია სტეფანოზ I ქართლის ერისმთავარი, მარჯვენა რელიეფზე — მისი ძმა დემეტრე ვიპატოსი, ხოლო მარცხენაზე — ადარნერსე I ქართლის ერისმთავარი. აქედან გამომდინარე, ეკლესიის მშენებლობა VII ს-ის II ნახევარს განეკუთვნება მცხეთის ჯვრის ტაძრის და ამივე ტიპის სხვა ძეგლების შესწავლის საფუძველზე, გ. ჩუბინაშვილის მიერ დადგენილია მისი მარჯვენა მხარეს ეფეოდელური ხანის ქართული გუმბათიანი არქიტექტურის განვითარების პროცესში, რაც საცხებით ეთანხმება ისტორიულ მონაცემებს მცხეთის ჯვრის აგების დროის შესახებ.

1952 წელს თუმანიძემა მცხეთის ჯვრის აღმშენებელთა შესახებ განსხვავებულ მოსაზრება წამოაყენა. მისი აზრით აღმოსავლეთი ფასადის რელიეფებზე გამოქანდაკებული არიან სტეფანოზ II (შუა ფილა), დემეტრე, სტეფანოზ I-ის ძმა (მარჯვენა ფილა) და ადარნერსე II, სტეფანოზ II-ის ძმა. ამის შედეგად კი მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობაც მან უფრო გვიანო ხანით, VII ს-ის 50-იანი წლებით, განსაზღვრა.

გ. ჯობაძის ნაშრომში მოცემულია კრიტიკული განხილვა თუმანიძის მიერ მოტანილი არგუმენტებისა, რომლებიც შემატანეთა მონაცემების არასწორ ინტერპრეტაციას ემყარება. როგორც ქართული, იგი უცხოური ლიტერატურული წყაროების მოშველიებით, ავტორი გვიჩვენებს თუმანიძის მოსაზრებათა უსაფუძვლობას და ლოგიკურად ასაბუთებს შეხედულებათა სისწორეს მცხეთის ჯვრის ტაძრის აგების შესახებ სტეფანოზ I-ის ერისმთავრობის დროს. სტეფანოზ II-ის დეაწლს აქ სხვა ნაგებობათა აგება წარმოადგენს, როგორც ამას ისტორიკოსი ჟუანშერი გადმოგვცემს: „...მოადგა ზღუდენი ეკლესიასა ჯვრისა პატრონისა და აღაშენა დარბაზნი და დაუწესა კრება ყოველსა ბარსკევთა“. ხოლო თვით მცხეთის ჯვრის ტაძრის აშენება სტეფანოზ II-ის მმართველობისას არაფრით მტკიცდება.

რაც შეეხება სამხრეთ ფასადზე გამოსახულ ისტორიულ პირს — ქობულს, მის შესახებ გ. ჯობაძე გ. ჩუბინაშვილის შეხედულებებისაგან განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს და მას დაწინაურებულ სამხედრო პირად, სტრატეგოსად მაინცებს.

წერალში განხილულია მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთი ფასადის რელიეფების საერთო კომპოზიციური გადაწყვეტა, მათი ეკონომგრა-

ფია და სტილი. ხაზგასმულია, რომ ელინისტური რემინისცენციების, ბიზანტიური და სასახური ელემენტების არსებობის მიუხედავად, მოჭანდაკე დადგინილ სქემებსა და ფორმებს კი არ იმეორებს, არამედ ქმნის თავისებურ კომპოზიციას, რომელიც კლასიკური წონასწორობისა და ჰარმონიულობის გამომხატველია. ვ. ჯობაძე ამ კომპოზიციის ძირებს ადრექრისტიანულ ტრადიციას უკავშირებს, მოჰყავს რა მაგალითად აბსიდური მოზაიკები, რომლებზეც ანგელოზები ქრისტეს წარუდგენენ წმინდანებს და ისტორიულ პირებს. მარტოვენიშნავს, რომ ამჯერად კომპოზიციის ეკლესიის გარე ფენაზე (სადაც მოსაველეთის ფასადზე) გამოკვეთა სრულიად ორიგინალური და პარალელური არა აქვს ადრექრისტიანულ ხელოვნებაში.

1965 წლიდან მოყოლებული ვ. ჯობაძე იკვლევს ტაო-კლარჯეთის სამეფოს ისტორიულ ძეგლებს, რომლებიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობენ. ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის შესწავლისათვის ძირითად წყაროდ დიდხანს რჩებოდა XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დაბდევს მოგზაურთა და მკვლევართა მიერ შეგროვილი მასალა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს სიძველეების დაუცხრომელი მკვლევრის ე. თაყაიშვილის ექსპედიციების შედეგები. ბოლო ათეულ წლებში თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ძეგლებია მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ უცხოელი სპეციალისტები, საქართველოს მეცნიერებისათვის კი ეს რაიონი ბოლო დრომდე მოუწყვდომელი იყო. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო ხრდის ინტერესს ქართველი მკვლევრის ვ. ჯობაძის ნაშრომებისადმი, რომელსაც ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების ადგილზე შესწავლისას საშუალება ჰქონდა თვითონ ამოეკითხა ძეგლებზე შემონახული წარწერები, ორიგინალში შეეჯერებინა ისინი ქართული ლიტერატურული წყაროებისათვის.

ვ. ჯობაძის სპეციალურ ნაშრომში („ტაო-კლარჯეთის ქართული ეკლესიები: მშენებლობის მეთოდები და მასალა“)¹⁰ ტაო-კლარჯეთის სამეფოს აყვავების ხანის (IX—XI სს-ის) ხუროთმოძღვრების ზოგადი საკითხებია განხილული. ავტორი ჩერდება მონასტრებისათვის ადგილის შერჩევაზე და მათ მდებარეობაზე. ამ რაიონის მონასტრის ტიპობრივ მაგალითად მოჰყავს ხანძთის საეპისკოპოსოს ადწერა, მოკვეთული ვრიკაღ ხანძთელის ცხოვრებაში. ისევე როგორც სხვაგან, საქართველოშიც

¹⁰ The Georgian Churches of Tao-Klarjet i; Construction Methods and Materials (IX to XI century). Oriens Christianus, 62, 1978.

ეკლესიები შენდებოდა წინასწარი გეგმის მიხედვით, მასალად გამოყენებული იყო, ძირითადად, კარქვა და ადგილობრივი ქვიშაქვა. აღნიშნულია კოლორისტული ეფექტების, პოლიქრომიის განსაკუთრებული მნიშვნელობა ტაო-კლარჯეთის ეკლესიების ფასადების წყობაში. კოლორისტული აქცენტებით ხაზგასმულია შენობის სტრუქტურული ლოგიკა, მისი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაწილები, ფერი გამოიყენება აგრეთვე არქიტექტურულ სკულპტურაში. კედლების პოლიქრომიას ეხმაურება ეკლესიის სახურავების საფარი. მნიშვნელოვანია ფერის მოჭიქული კრამიტის გამოყენება. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს მისწრაფება პოლიქრომიისაკენ გრძელდება XI—XIV სს-ის ქართულ არქიტექტურაში.

ტაო-კლარჯეთის ძეგლებისადმი მიძღვნილ როგორც ამ. ისე სხვა ნაშრომებში, რომლებსაც ქვემოთ მივუთითებთ, ავტორი ხაზს უსვამს X ს-ში და XI ს-ის დასაწყისში გამოვლენილ ახალი სტრუქტურული ფორმების ძიებას. აღსანიშნავია ახალი არქიტექტურული ტიპის, მაგალითად, ტრიკონქის განვითარება და პორტიკების ახლებური სისტემის შექმნა. ტაო-კლარჯეთის არქიტექტურული სკოლის მიერ შემოტანილ სიახლეთა შორის, რომლებშიც გავრცელება და შემდგომი განვითარება საქართველოს სხვადასხვა რაიონის XI ს-ის არქიტექტურაში პოვეს, მითითებულია ფასადების ვაფორმება სხვადასხვა სიმაღლის დეკორატიული თაღებით, და ორმაგი სარკმლების გამოყენება (ოშკი, ხახული, შატბერდი).

ნაშრომი შეიცავს ცნობებს ტაო-კლარჯეთში მოღვაწე ხუროთმოძღვრების, მშენებლობის ზედამხედველების, ქვის მჭრელი ოსტატების შესახებ, რომლებიც გამოქანდაკებულია ეკლესიებზე, ან მოხსენებული არიან ეკლესიების წარწერებსა თუ ლიტერატურულ წყაროებში. საყურადღებოა წარწერით დადასტურებული ფაქტი, როდესაც ოსტატი სასულიერო პირია. როგორც ეს გვაქვს დოლიასყანაში, რომლის სკულპტურა გამოკვეთილია გაბრიელ დიაკვნის ხელით. ამგვარი გარემოება მითითებულია ჰაგიოგრაფიულ წყაროებშიც: კერძოდ, სერაპიონ ზარზმელი, მისი ბიოგრაფის ბასილის მიხედვით, გამსწავლული იყო ხუროთმოძღვრებაში. როგორც ვ. ჯობაძე აღნიშნავს, მსგავსი სიტუაციაა ჩრდილოეთ სირიაშიც.

ნაშრომში მოტანილია ჰაგიოგრაფიული ლიტერატურიდან ამოკრეფილი ცნობები ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ინიციატორთა, კტიტორთა შესახებ. ირკვევა, რომ ტაო-კლარჯეთში VIII—X სს-ში

მონასტერთა სულიერი ცხოვრება შთაგონებული იყო „ღვთის კაცთა“ მიერ. მაგრამ მათი იდეალების რეალიზაცია, რაც მონასტრებისა და ეკლესიების მშენებლობაში გამოიხატა, ხორციელდებოდა საერო მმართველთა ინიციატივითა და სახსრებით, რაც მითითებულია ეკლესიების წარწერებში და რასაც მოწმობენ კტიტორთა გამოსახულებანი, რომელთაც ჩვეულებრივ ეკლესიის მოდელი უჭირავთ ხელში. ასეთებია: აშოტ კურაპალატი ოპიზის რელიეფზე (826 წ-მდე), აშოტ IV კუხი, ტბეთის ტაძრის აღმშენებელი (891—918 წწ.), მეფე სიმონ-მეგრელი-ყანაში (958 წ.), ბაგრატ ერისთავთერისთავი და დავით მაგისტროსი (შემდგომ კურაპალატი) ოშკში (963—973 წწ.), მეფეთმეფე გურგენი, რომელმაც ააშენა იშხნის მცირე ეკლესია (1006 წ.). წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს ადგილობრივ საერო მმართველთა დინასტიის დამაარსებლების ღვაწლს ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის დიდი პროგრამის განხორციელებაში.

1986 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის („ჩვენ წ. აღ-ის 1000 წლის ახლო ხანის ტაო-კლარჯეთის ეკლესიების არქიტექტურული სკულპტურის მიმოხილვა“)¹¹ მიზანია ტაო-კლარჯეთის არქიტექტურული სკულპტურის ზოგიერთი ასპექტის შესწავლა. ავტორი ჩერდება ზომორფულ მოტივებზე, რომლებსაც დიდი ადგილი ეთმობა ეკლესიების დეკორატიულ გაფორმებაში. განხილულია ლომის, ფასკუნჯის, სენზურვის (ძალღიჭია), არწივის გამოსახულებანი, მოცემულია თითოეული მოტივის შინაარსობრივი მნიშვნელობის, მისი სიმბოლიკის განსაზღვრა, რაც კოსმიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებს ემყარება. ლომი, სახელდობრ, ასტროლოგიურად მზეს უკავშირდება და ამდენად ნათელის განსაზღვრებაა. ამასთანავე ლომი ხელისუფლების და ძლიერების სიმბოლოა. ლომის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის მოტანილია სტროფები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, სადაც ლომი მზეს უკავშირდება და ხშირადაა გამოყენებული მმართველისა და რაინდის ეპითეტად. შოთა რუსთაველის პოემაში ვხვდებით მმართველის ასოციაციას არწივთანაც, რომლის მონუმენტური გამოსახულებანი გამოქანდაკებულია ოშკისა და ხახულის ეკლესიებზე, და რომელიც, ისევე როგორც ლომი, ძალაუფლების ტრადიციული სიმბოლოა.

¹¹ Observations on the Architectural Sculpture of Tao-Klarjet'i Churches around One Thousand A. D. Studien zur spätantiken und byzantinischen Kunst. Monographien des Römisch-Germanischen Zentralmuseums, B. 10, Mainz, 1986.

აღნიშნულია აგრეთვე ცხოველთა გამოსახულებების (მაგ., სენმურვის გამოსახულების) დაცვათი ფუნქცია.

ავტორი იხილავს აღნიშნული ზოთმორფული მოტივების საქართველოში გავრცელების წყაროებს, რისთვისაც დიდძალი პარალელური მასალაა მოხმობილი როგორც სასახური სპარსეთის, ისლამის ქვეყნების, ისე ქრისტიანული აღმოსავლეთის და ბაზანტიის სელოვანებიდან (ქვის რელიეფები, სპილოს ძვლის ნაწარმი, ქსოვილები და სხვ.).

ადგილზე შეისწავლა და სპეციალური გამოკვლევების მიზანს ე. ჯობაძემ ოშკის კთიბორულ რელიეფებს¹⁹, რომელთაგან ერთი აგებულია ტაო-კლარჯეთში X ს-ის მეორე ნახევარში დავით მაგისტროსის (შემდგომ კურაბლატის) და მისი ძმის ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის თაოსნობით, რომელთა გამოსახულებანიც გამოქანდაკებულია შენობის ფასადსა და ინტერიერში.

ე. ჯობაძე განიხილავს კთიბორთა რელიეფების ორ ჯგუფს. ერთი მათგანი, რომელშიც ოშკის მშენებელი — დავით მაგისტროსი და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი არიან წარმოდგენილი ფეხზე მდგომარედ, ეკლესიის მოღვლით ხელში, ვედრების კომპოზიციის ორივე მხარეს, უკვე დიდი ხანია ცნობილი არის სამეცნიერო ლიტერატურაში. რელიეფები მოთავსებულია სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში, სამხრეთა-ბასტოფორიის გარეთა კედელზე.

ავტორის დაკვირვებით, ისტორიულ პირობა დაკავშირება ვედრების სცენასთან, რომელიც ქრისტეს, ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ფიგურებს შეიცავს, ასახავს მათი განდიდების იდეას, რომელიც ნათლად არის გადმოცემული ტაძრის მრავალ წარწერაში: „კთიბორი-მეფეები სამეტრიულად არიან განლაგებული ციური იერარქიის უმაღლეს წარმომადგენელთა გვერდით, ეძებენ რა ღვთის წყალობას და ღოცავენ სამარადისო სიცოცხლეს“.

რელიეფების მეორე, მანამდე უცნობი ჯგუფი, ამავე კთიბორთა გამოსახულებებით, საღებავის და ტალახის სქელი ფენით იყო დაფარული და მხოლოდ 1973 წელს იქნა გახსნილი ე. ჯობაძის მიერ. მან პირველმა შეისწავლა და გამოაქვეყნა ეს რელიეფები.

დავით მაგისტროსის და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის წელზემთა გამოსახულებანი გამოქანდაკებულია ეკლესიის ინტერიერში, სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ მხარეს გაჭრილი ნიშის გვერ-

¹⁹ The Donor Reliefs and the Dale of the Church at Oški. Byzantinische Zeitschrift, B. 69, München, 1976.

დით. რელიეფებს თან ახლავს წითელი საღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერები, რომლებიც ამოიკითხა ვ. ჯობაძემ. ამ წარწერებშიც ძმები მოხსენიებული არიან როგორც ოშკის საყდრის აღმშენებლები.

ავტორის აზრით, ტაოს მმართველთა ორგზის გამოსახვა ოშკში შეიძლება აიხსნას იმით, რომ ისინი გრძნობდნენ აუცილებლობას ხაზი გაესვათ თავისი დიადი საქმიანობისათვის.

უკრუნულო

ეტიკორთა რელიეფების განხილვისას დიდი ყურადღება მიაქცევა მათ კოსტიუმებსა და რეგალიებს, რომელთა წარმომავლობის დასადგენად მოტანილია დიდი რაოდენობა პარალელებისა ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნებიდან, აგრეთვე ისტორიული წყაროების ცნობები იმის შესახებ, რომ ბიზანტიის იმპერატორები, საკარსკაცო ტიტულებთან ერთად, ქართველ მეფეებს და დიდებულებს ძვირფას სამოსს უბოძებდნენ ხოლმე. ოშკში ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსი წარმოდგენილი არიან სწორედ ასეთი მდიდრული საცერემონიო საძმოსელებით, რომლის განხილვა ხაზშენელოვანია ტაო-კლარჯეთის ბიზანტიურ იმპერიასთან ურთიერთობის საკითხის თვალსაზრისით. განსაკუთრებით საყურადღებოა 1973 წელს აღმოჩენილი ოშკის ახალი წარწერა, რომელიც ვ. ჯობაძემ წაიკითხა. მასში მოცემულია ეკლესიის მშენებლობის დაწყების თარიღი — 963 წელი. გაითვალისწინა რა ექ. თაყაიშვილის მიერ გამოცემული, ამჟამად დაკარგული რელიეფის წარწერა, რომელიც ვეაძვინობს, რომ ეკლესია შენდებოდა 10 წლის განმავლობაში, ვ. ჯობაძემ ოშკის მშენებლობის ხანა 963—973 წლებით განსაზღვრა (ნაცვლად შანაშღე მიღებული დათარიღებისა — 958—961 წლები).

ცალკე წერილში¹³ ვ. ჯობაძე ჩერდება ვედრების თემაზე, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოშკის ტაძრის გამოსახულებათა შორის, მათგან სამი კომპოზიცია X ს-ის რელიეფური სკულპტურის ნიმუშია, ხოლო მეოთხე 1036 წლით დათარიღებულ კედლის მხატვრობაშია მოცემული.

ტაძრის სამხრეთ ფასადზე გამოქანდაკებულია ვედრების სცენა, რომელიც ოშკის ტაძრის აღმშენებელთა — ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით მაგისტროსის ფიგურებთანაა ფლანკირებული. ამავდროულ პირობს ვხვდებით ეკლესიის ინტერიერში, სამხრეთ-

¹³ Four Deesis Themes in the Church of Oski. Oriens Christianus, B. 79, Wiesbaden.

დასავლეთი ბურჯის ნიშის რელიეფებზე, თუმცა აქ გამოსახული არ არიან ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი, კტიტორთა გვერდით მოთავსებული წარწერები აღნიშნავენ მათ სახელებს. იქვე, ნიშის კონქში, შემორჩენილია ტახტზე მჯდომარე ქრისტეს ფრესკის ფრაგმენტი, რაც საფუძველს აძლევს ავტორს აქ ვედრების სცენა იგულისხმოს.

ოშკის ეკლესიის სამხრეთი გალერეის რეააბილიტაცია ბურჯზე გამოქანდაკებულია ვედრების შესამე კომპოზიცია, რომლის სცენაცაა მიმართული ისტორიული პირის — გრიგოლის — მუნღღობის შესახებ ფიგურა.

ვედრების სცენად მიიჩნევა ავტორი სამხრეთი ძვლავის ფრესკულ გამოსახულებას¹⁴, რომელთანაც შინაარსობრივად დაკავშირებული უნდა იყოს მის ორსავე მხარეს მოთავსებული კომპოზიციები. განსაკუთრებით საყურადღებოა მარჯვენა მხარეს წარმოდგენილი სცენა, რომელიც ბანას ტაძრის გამოსახულებას შეიცავს, რაც დასტურდება მისი თანმხლები წარწერით. ეს ფრესკა მხოლოდ 1983 წელს იქნა გამოვლენილი და იმავე წელს პირველად შესწავლილი ჯობაძის მიერ, იგი ვეთავაზობს ამ ისტორიული შინაარსის მქონე სცენის სავარაუდო განმარტებებს¹⁵.

ოშკის ტაძრის ვედრების გამოსახულებანი, რომლებშიც მისი სხვადასხვა ვარიანტია მოცემული, მნიშვნელოვან მასალას წარმოგვიდგენენ ამ თემის ინტერპრეტაციისათვის შუა საუკუნეების ხელოვნებაში.

წინამდებარე წიგნში ქვეყნდება ვ. ჯობაძის ორი სტატია¹⁶, რომლებშიც ოშკის კტიტორული რელიეფები და ვედრების გამოსახულებანია (როგორც სკულპტურაში, ისე კედლის მხატვრობაში) განხილული.

ვ. ჯობაძის მიერ ოშკის ტაძრის ადგილზე შესწავლამ მნიშვნელოვანი მონაბოვრებით ვაამდიდრა საქართველოს ისტორია.

ნ. ალადაშვილი

14 ამ მხატვრობის განსხვავებულ განაზღვრას ვეთავაზობს ნ. ტიერი, N. Thierry, Peintures historiques d'Oshki (Tao). Revue des études géorgiennes et caucasiennes, Paris, 1986, № 2, pp. 133—171.

15 ნ. ტიერის დასახელებული წერილი, გვ. 144—145.

16 ტენიკური მიზეზების გამო, ყველა ილუსტრაციის გამოკვეთება ვერ მოხერხდა, ხოლო ზოგიერთი ილუსტრაცია შეცვლილია.



VII საუკუნის შუა ხანაში არაბების შემოსევამ საქართველოში გამანადგურებლად იმოქმედა ტაო-კლარჯეთის სამხრეთ პროვინციაზე (ამჟამად თურქეთის ნაწილი) და მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევის მიზეზი გახდა. მნიშვნელოვნად შემცირდა სამშენებლო აქტივობა¹ და დაქვეითდა ოსტატობის დონე. მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ, როდესაც შეუახტდა თბილისის საამიროს ძლიერება, სამთავროების აღდგენამ და ეკონომიკური ურთიერთობის გამოსწორებამ საფუძველი შექმნა თანდათანობითი კულტურული აღორძინებისათვის. ეს აღდგენა ყველაზე შესამჩნევია ტაო-კლარჯეთში, სადაც მთავრებმა მოახერხეს არა მარტო დაეცვათ დამოუკიდებლობა, არამედ შეძლეს ტერიტორიულად გაეფართოებინათ თავიანთი სამთავრო, რომლის საზღვრებმა სამხრეთით მდინარე არაქსამდე, ჩრდილოეთით კი ვანის ტბის ნაპირებამდე მიაღწია.

სწორედ ამ პროვინციასა და მის საზღვრებში არაბების ბატონობის დასასრულს დაარსებული და აღდგენილი იყო დიდი სამონასტრო ცენტრები. ცდილობდნენ რა აღედგინათ შერყეული პოლიტიკური სუვერენიტეტი, ტაო-კლარჯეთის სამთავროს მმართველები, ჩანს, მიზნდნენ, რომ ამას მხოლოდ ეროვნული კულტურის აღორძინებით

* მინდა მადლობა გადავუხადო ამერიკის სწავლულთა საზოგადოებას სუბსიდისათვის, რომელმაც შეაძლებელი გახდა ეს კვლევა.

¹ არაბების შემოსევებით გამოწვეული ნგრევას შედეგები და გაპარტახებული მონასტრების აღდგენა ცოცხლად არის ასახული გრიგოლ ხანათელის ცხოვრებაში. გრიგოლის ცხოვრების უახლესი გამოცემა აბელაძისეულია. ი. აბუღაძე, ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი, თბილისი, 1963, 248—319. ამ ბიოგრაფიის ლათინურ თარგმანს გამოაცა პ. პეტერსმა — P. Pecters, Histoires Monastiques Géorgiennes, Anal. Boll. (1917—1919), 216—302.

და რელიგიური ცენტრების გაფართოებით შეძლებდნენ. შეიძლება ამით აიხსნება ახალი არქიტექტურული ტიპების ის მუდმივი ძიება, რომელიც ამ მხარეში აღინიშნება არა მარტო დიდ ეკლესიებსა და კერძო სამლოცველოებში (ორატორიუმებში), არამედ საერო ნაგებობებშიც, როგორცაა სკოლები, საავადმყოფოები და სკრიპტორიუმები. სამწუხაროდ, ეს სამონასტრო ცენტრები ექ. თაყაიშვილის გარდა სისტემატურად არავის შეუსწავლია. 1917 წელს, ხუროთმოძღვრებას და ფოტოგრაფებთან ერთად, თაყაიშვილი ამ ქვეყანაში სხვადასხვა მხარეს, მათ შორის ოშკის² ეკლესიასაც ეწვია.

ეს შენობა, აგებული X საუკუნის მეორე ნახევარში ორა ქართველი ძმის — მეფე დავით მაგისტროსისა (შემდეგ კურაპალატი) და ბაგრატ ერისთავთერისთავის მიერ, ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს ამ მხარის სხვა საკულტო ნაგებობათა შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი არქიტექტურული იდეების ნოვატორული გადაწყვეტა და მოწინავე ხასიათის არქიტექტურული სკულპტურა; ყოველივე ეს სანიმუშო გახდა შემდეგი თაობებისათვის. ოშკის მონასტერი შედგება სხვადასხვა ფტილიტარული და რელიგიური დანიშნულების ნაგებობებისაგან: სამლოცველოები, აშენებული კარგად დამუშავებული ქვიშაქვისაგან, მდიდრულად შემკული სკულპტურით, ადგილობრივი მმართველების რეზიდენცია, საცხოვრებელი სენაკები სამონასტრო თემის წევრებისათვის, საწყობები, ბიბლიოთეკა და ბოლოს მაღალი გუმბათით გადახურული სკრიპტორიუმი, სადაც გადაწერილ იქნა მრავალი ხელნაწერი, რომელთაგან ზოგიერთი დღემდეა შემონახული³.

ჩვენ მოგვეცა საშუალება ექვსჯერ ვწვეოდით ოშკს (1965—1975 წლების განმავლობაში), რათა მთლიანად დაგვეთვალიერებინა სამონასტრო კომპლექსი. აღმოვაჩინეთ რამდენიმე წინათ უცნობი სკულპტურა

² ამ ექსპედიციის საბოლოო ანგარიში თაყაიშვილმა გამოსცა რუსულად 40 წლის შემდეგ (E. S. Тьякйшвилл, Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, Тбилиси, 1952) და ქართულად—1960 წელს (1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში), ქვემოთ მხოლოდ პირველ გამოცემას აღვნიშნაულ.

³ ამ სკრიპტორიუმში სახელდობრ, გადაიწერა ცნობილი ოშკის სახარების ორა ტომი იოსანე მოხახა—Pratum Spirituale (პრატუმ), ცხოვრება იოსანე ოქროპირისა და სხვა (M. Tarchnischvili, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, Studi e Testi 185 (1955) 67).

და წარწერები, რომლებმაც გაამდიდრეს ჩვენი ცოდნა ამ ძეგლის შესახებ.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ამ აღმოჩენათა მხოლოდ ნაწილი — კტიტორული რელიეფების ორი ჯგუფი და მათ წარწერებს. ვცადეთ აგრეთვე დაგვედგინა თვით ეკლესიის მშენებლობის თარიღიც.

კტიტორთა რელიეფები



ქართული

ენციკლოპედია

მაღალმხატვრულ არქიტექტურულ რელიეფებს შორის, რომლებიც ოშკის ეკლესიაშია შემონახული, არის კტიტორთა რელიეფების ორი ჯგუფი: პირველი მთავსებულია სამხრეთი პასტოფორიუმის გარეთა კედელზე, დაახ. 3.00 მ-ზე იატაკის დონიდან⁴. მეორე ჯგუფი (რომელზეც მოგვიანებით ვამსჯელებთ) წარმოდგენილია სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯზე. სამხრეთი პასტოფორიუმის კტიტორები ვედრების ჯგუფის ორსავე მხარეს დგანან. თითოეული მათგანი გამოთლილია ქვიშაქვის ერთი მონოლითისაგან. ყველა ერთნაირი სიდიდისაა (სიმაღლე—1.46 მ, სიგანე უმნიშვნელოდ იცვლება 0.67-დან 0.73 მ-მდე)⁵. კარგად გაწონასწორებული კომპოზიცია მთელი ტანით გამოსახული ხუთი ფიგურისაგან შედგება. ერთმანეთის გვერდით მდგომი ეს ფიგურები ქმნიან მართკუთხედს (3.67×4.02 მ)⁶, რომელსაც აგვირგვინებს თევზისფერი ორნამენტით დეკორირებული ლავგარდანი. მილიანა კომპოზიცია მოქცეულია კედლის დეკორატიული თაღის შიგნით. საღებავის ნარჩენები მიგვითითებს, რომ თავდაპირველად რელიეფი შეღებილი იყო⁷.


ეს ბრწყინვალე ქანდაკებები ჯერ კიდევ ცხოველ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, ეფექტი უფრო ძლიერი იქნებოდა, ფერები რომ გადაურეცხავი შენარჩუნებულყო. ხუთივე ფიგურის სახის ნა-

4 ფოტოსურათზე იატაკის დონე აწეულია 0.60 მეტრით, იქ მაყრილი სამშენებლო ნარჩენების გამო.

5 კედლის დანგრევამ ქანდაკების ქვემოთ შესაძლებელი გახდა დაგვეჩინა, რომ რელიეფის განივკვეთი სამკუთხედაა, ჩამოკვეთილი კუთხეებით წინა მხარეს, ტოვებს რა 0.07 მ სიფართის საბრტყეს ორივე მხარეს.

6 თაყაიშვალის მიერ მოცემული ამ კედლის ზომები — რ — 3.5×1.87 (შარპედია, 52) არისწორია.

7 კედლის დანგრევამ ქანდაკებს ქვემოთ შესაძლებელი გახდა დაგვეჩინა, რომ დეკორატიული თაღის შიგნით მათგანის ქვედა ნაწილი ინტენსიური ვარდისფერია. დეკორატიული თაღი მთლიანად უნდა ყოფილიყო დაფარული მოწის ფერით, რომელიც შემორჩა კომპოზიციის უკეთ შემონახულ დასავლეთის ნაწილს.



სურ. 1. თსჯი. სმხარეთა ფახდის რელოფები—ვედრება და კტიტორები, ვ. ჯობაძის სკემა.

კვთები ძნელი გასარჩევია, მაგრამ შემორჩენილ ადგილებში ღრმად ამოკვეთილი კონტურები ზედაპირის სკულპტურულ დამუშავებას ამჟღავნებენ.

კელელი ქანდაკებების ქვემოთ მთლიანად დანგრეულია და ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მონოლითი მიწაზე იქნა ჩაბოყნილი. თვდაპირველ ადგილზე მდებარე დანარჩენი ფიგურები კარგადაა შემონახული, გარდა ქრისტეს და წმინდა იოანეს რელიეფებისა, რომლებიც გამოიფიტნენ და ამკარად განზრახ არიან დაზიანებული. კონსტანტინის ცენტრში ქრისტე დგას ფრონტალურ პოზაში, აწეული მარჯვენით, რომელიც ლოცვა-კურთხევის⁸ ჟესტს გადმოსცემს. ქრისტეს მარჯვენა მხარეს მარიამია წარმოდგენილი, როგორც დედა ღვთისა. ის ღრმა თაყვანისცემა, რომლითაც მარიამი საქართველოში სარგებლობდა, არეკლილია ოშკის წარწერებში. ღვთისმშობელი დგას პატიოსანი ქვებით მდიდრულად შემკულ ფეხსადგამზე. მას აცვია ჩვეულებრივი მაფორიუმი. წინ გაწვდილი ხელები მიმართულია ქრისტესაკენ ვედრების ტრადიციული ჟესტით. პარმონიული სკულპტურულობის შთაბეჭდილება ნიღწეულია დრაპირების რბალი გრადაციით, რომელიც ექვემდებარება ღვთისმშობლის პროპორციულად აგებული სხეულის მოძრაობას და გვაგონებს კონსტანტინეპოლის სახელოსნოებში შესრულებულ X საუკუნის სპილოს ძელის რელიეფებს¹⁰.

⁸ ქრისტე და იოანე ზედმეტად მწყობრი არიან. შესაძლოა, ეს რელიეფები თავდაპირველად ისევე იყვნენ ნაკვეთი, როგორც დავითის და ბაგრატის რელიეფები და შემდეგ გამოიფიტნენ.

⁹ ქრისტეს ფიგურის იდმოსავლეთ მხარეს, ჩანს, მოთავსებულ იყო ვერტიკალური წარწერის ერთი ხაზი, რომლისგანაც თბი ასო (თა) შემორჩა. წარწერის ამკარი განლაგება იდენტურია წარწერების განლაგებისა ამავე ხანის ქართული ოქრომკვდლობისა და ბიზანტიურ სპილოს ნაწარმოებებსა, მინანქარსა და მოზაიკაზე. წარწერა მაგვითითებს, რომ ეს ქანდაკების თანადროულია და შესრულებულია ქართველი ოსტატის მიერ.

¹⁰ მარიამის პროპორციები და მისი სხეულის დანაწევრებული ზედაპირი გვიჩვენებს სიახლოვეს X საუკუნეში კონსტანტინეპოლის სახელოსნოებში დამზადებულ სპილოს ძელის კვეთილობის ნიმუშებთან. მაგ., სპილოს ძელის ტრაპტიქონები ვენეციის პალატოს ნუზელში (X საუკუნის მეორე მეოთხედი) და პარიზში — ლუვრში (X საუკუნის შუა ხანი). ეს ტრაპტიქონები გასხილული და გამოქვეყნებულია: A. Goldschmidt and K. Weitzmann, Die Byzantinischen Elfenbeinskulpturen des X—XIII Jahrhunderts, II, Berlin, 1934, 33, ff. Nos. 31, 32, 33. იხ. აგრეთვე: J. Berkwith, The Art of Constantinople, London, 1961, 80, 82, pls. 97, 98

მთელ კომპოზიციაში ყველაზე კარგად შემონახულია იმ კტიტორთა ფიგურები, რომლებიც ვედრების ჩგუფის გვერდით არიან განლაგებული და უკავშირდებიან მას არა მარტო ფორმალურად, არამედ იდეოლოგიურადაც. თუ ჩვენ გავიხიარებთ შეხედულებას, რომ ვედრების მოტივის ჩამოყალიბებული ტიპები, მათა ვარიაციებით, არ ყოფილა ცნობილი ბიზანტიის სამეფო კარის ხელოვნებაში X საუკუნემდე¹¹, როგორც ამას მცირე პლასტიკის ნიმუშები — სპილოს ძვლის რელიეფები და მინაჩარი — გვიჩვენებს¹², ჩვენმა მაგალითმა უნდა განვიხილოთ როგორც ვედრების კომპოზიციის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მონუმენტური გამოსახულება¹³. კტიტორი-მეფეები სიმეტრიულად არიან განლაგებული ციური იერარქიის უმაღლეს წარმომადგენელთა გვერდით, ეძიებენ რა ღვთის წყალობას და ლოცავენ სამარადისო სიცოცხლეს. ეს იდეა ნათლად არის გამოხატული ეკლესიის სამხრეთი პორტალის ტიმპანის წარწერაში¹⁴, ხოლო სამხრეთ მანაშენზე იკითხება შემდეგი: „ქ.: იესუ ქრისტე, მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისაათა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისაათა და წმიდისა ძელისა ცხორებისაათა და ყოველთა წმიდათაათა, აღიდგენ მეფენი ჩუენნი წინაშე შენსა, მამუნებელნი ამის ეკლესიასანი, ბავრატ ერისთავთა ერისთავი და დავით მაგისტროსი“¹⁵. ეს წარწერა, რომელიც ქანდაკებებს თანადროულია, უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგინაც იგი ვედრების¹⁶ ჩგუფის ყოველი სახვითი შემადგენელი ნაწილის

¹¹ ვედრების პროტოტიპები და მისი გენეზისი განხილულია ა. გრაბარის მიერ, *ib. A. Grabar, L'empereur dans l'art byzantin, Strasbourg, 1936, 258 f.*

¹² Th. Bogyaу, *ib. Reallexikon zur Byzantinischen Kunst* (შემდეგ ნახსენები იქნება როგორც RBK), გამოც. K. Wessel. I. 1966, s. v. Deesis, p. 1182.

¹³ ვედრების შესახებ ნახეთ ხშირად უგულებელყოფილი ა. კირპიჩნიკოვის ნაშრომები: (А. Кирпичников, Деисус на Востоке и Западе и его литературные параллели, „Журн. Минист. Народ. Просвещения“, 11, 1893, 1—26), ლიტურგიკული ტექსტების შესწავლით მან პირველმა დაიღვინა ვედრების სწორი საფუძველი. *ib. აგრეთვე, Th. Bogyaу, Deesis und Eschatologie, „Byzantinische Forschungen“ (Festschrift F. Dölger) 2, 1967, 59—72 და RBK. I, s. v. Deesis; B. Breuck, Tradition und Neuerung in der christlichen Kunst des ersten Jahrtausends, Wien, 1966, 79—193; ბოლო დროს — П. Мысливец, Происхождение Деисуса. Византия, Южные славяне и Древняя Русь. Западная Европа. Искусство и культура. Сборник статей в честь В. Н. Лазарева, М., 1973, с. 59—63.*

¹⁴ ეს წარწერა გამოქვეყნებულია ექ. თაყაიშვილის მიერ (Экспедиции, 57).

სიტყვიერ ეკვივალენტს შეიცავს. კტიტორები შეიძლება გავიგოთ ვედრების ჯგუფსა და ორნამენტულ ლავგარდანს შორის მოთავსებულ სამ ასომთავრულ (მრგვლოვან) წარწერაში მოხსენიებულ პირებთან. სამივე წარწერა კარგად იყო შენახული 1861 წლამდე, როდესაც ისინი გადმოიღო მხითარისტმა ნერსეს სარგისიანმა¹⁷, და 1917 წელს, როდესაც ისინი შეიწავლა ე. თაყაიშვილმა¹⁸, მაგრამ 1965 წელს, ჩემი პირველი მოსვლის დროს წარწერები უკვე წაშლილი იყო. ამჟამინდელი ერთი შევსული შემედარებინა თაყაიშვილის მიერ წაჭმსწმინსმისწველი წარწერა, რომელიც ყველა დანარჩენზე უფრო გრძელია, ვედრების ჯგუფის შუა ნაწილის ზემოთაა; მეორე — დავით მაგისტროსის და მარიამის ზემოთ; და მესამე, რომელიც თათქმის მთლიანად წაშლილია, მარჯვენა განაპირა მხარეს, ბავრატ ერისთავთერისთავის ზემოთაა გამოსახული. სამივე წარწერა შესრულებულია მუქი ძოწის ფერი საღებავით, ბიზანტიური საწეფო ჩვეულებების¹⁹ მიხედვით. წარწერებში კვითხულობთ:

15 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია, თბ., 1960, გვ. 55, სურ. 32. იქ არ ვცდები, ამ წარწერას იდეოლოგიური სახლოვე აქვს ბიზანტიურ ლიტურგიულ ტექსტებთან, ამის შესახებ იხ. Мисливец, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

16 იმის ვედრების ფიგურული გამოსახულებას შესახებ იხ. შენაშენა 111.

17 ეს წარწერები შემდეგ დაიბეჭდა ნ. მირის მიერ, N. Marr, Inscriptions Géorgiennes et autres recueillies par le père Nerses Sargisian et expliquées par M. Brosset, Mémoires de l'Académie des Sciences de St. Petersburg, VIIe série, Tome VIII, no 10, St. Petersburg, 1864.

18 ჩემი შენიშვნები, თაყაიშვილის ექსპედიციის მიერ მოპოვებული ეპიგრაფიკულ მასალებზე, 1960 წლის ქართულ გამოცენას ემყარება.

19 X საუკუნის მეორე ნახევრი, წარწერები, რომლებიც თან ახლავს ბიზანტიის დიდებულთა გამოსახულებებს, შესრულებულია წითელი ფერით. მაგ., ქართული დედოფალი მარიამი და მისი მეორე ქმარი ნიკიფორე III ბოტანიტი, (Coislin, 79, fol. IV, Paris Nat. Libr.; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა 6, თბლსი, 1966, 305—310; J. Ebersolt, Les Arts Somptuaires de Byzance, Paris, 1923, 90, 91, fig. 43). ცნობილი ხახლის ხატის ერთ-ერთ მხანქარზე წარმოიგენლია კვლავ მარიამი და მისი პირველი ქმარი, მთხვალე VII დავა (ს. ყაუხჩიშვილი, იქვე). წარწერა მათ შორის ასევე წითელი ფერითაა შესრულებული. შევსებულ დაგვესახელებ

ცენტრში —

1. წმიდაო ღმრთისმშობელო და წმიდაო ნათლისმცემელო, აღი-
დენ მეფენი ჩუენნი,
2. გლახაკნი შენნი, მაშენებელნი ამის წმიდისა (ეკლესიისანი).
3. და კუალად წარუმართენ
4. მეფეთა ჩუენთა ბაგრატ (ს და)
5. დავითს²⁰.

მარცხნივ —

1. წ. მონაჲ ღმრთისაჲ მეფე ჩუენი,
2. დავით მაგისტროსი
3. აღიდენ ღმერთმან ორთავე ცხ
4. ორებათა-მაშენებელი ამის წმიდისა
5. ეკლესიისაჲ. ამენ²¹.



მარჯვნივ —

1. ქ. მონაჲ ღმრთისაჲ, მეფე ჩუენი,
2. ბაგრატ ერისთავთერისთავი ა
3. დიდენან ღმერთმან ორთავე ცხო
4. რებათა-მაშენებელი ამის წმიდისა
5. ეკლესიისაჲ. ამენ²².

მარცხენა და მარჯვენა მხარის წარწერები ვედრების კომპოზიცი-
ის არამთავარ ფიგურებს — დავით მაგისტროსს და ბაგრატ ერისთავთ-
ერისთავს განსაზღვრავს, როგორც ეკლესიის კტიტორებს. ისტორიული
წყაროების დახმარებით, აღნიშნული წარწერებისა და იმავე ეკლე-
სიაში ნაპოვნი სავა წარწერების საფუძველზე, თაყაიშვილმა დაადგინა
კტიტორების იდენტურობა მეფე ადარნასე III-ის შვილებთან (ადარ-
ნასეს კურაპალატის წოდება მიანიჭეს 958 წელს). რადგანაც წარ-
წერებში არ არის გადმოცემული კტიტორების სულის მოხსენიება და

ბინა აგრეთვე ცნობილი მონომახის გვირგვინი: აქ მხოლოდ კონსტანტინე VII-ის
მონაქარზე არის წითელი წარწერა (Wessel RBK II, s. v. Farbensymbolik,
526 ff.). წითელი ფერის მნიშვნელობასათვის მონარქების წარწერებზე იხ. O.
Treitinger, Die Oströmische Kaiser- und Reichsidee nach ihrer Gestaltung
im höfischen Zeremoniell (reprinted in Bad Homburg, 1969), 60, note 64.

²⁰ თაყაიშვილი, ექსპედიცია ... გვ. 52—53.

²¹ იქვე, გვ. 53.

²² იქვე.

ორივეს მართკუთხა შარავანდები აქვს, თაყაიშვილმა სწორად მიიჩნია, რომ მმართველები ცოცხლები იყვნენ, როცა მათი ქანდაკებები იკვეთებოდა²³, ამ საბუთმა და ეკლესიის კარიბჭის ტიმპანის წარწერამ, რომელიც მიგვანიშნებს, რომ აღარნასე III ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა წარწერა სრულდებოდა, მაღლებინა თაყაიშვილს გადაწყვეტილება, რომ ქანდაკებანი შესრულებული იყო 958 და 961 წლებს შორის (აღარნასეს გარდაცვალების თარიღი)²⁴.

დავუბრუნდეთ ფიგურულ გამოსახულებებს. ოშკის სკულპტურის მის თანადროულ სხვა ქართულ ქანდაკებებთან ოდნავი შედარებაც კი გვიჩვენებს, რომ ოშკის ფიგურებში მიღწეულია ახალი მონუმენტურობა, საყურადღებოა ცვლილებანი ფორმებშია ბუნებრივი დამუშავების მხრივ, ფიგურების ორგანული გაერთიანება გაწონასწორებულ, თავის თავში დასრულებულ კომპოზიციაში. აღნიშნული განსაკუთრებით ორ დეტალში ჩანს: პირველი, რომ დავითის და ბაგრატის გარეთა მხრები უფრო წინაა წამოწეული, ვიდრე შიგნითა მხრები, ხაზგასმულია რა კომპოზიციის სიღრმეში განვითარება. ისინი ამით გვაგონებენ თანადროულ ბიზანტიურ ძეგლებს, სადაც თავი ნაჩვენებია არა მკაცრ ფრონტალურ მდგომარეობაში, არამედ ოდნავ გვერდზეა მიბრუნებული²⁵. მეორე, გარეთა მხრების ღრმა ჩაჭრა ქმნის ირიბი კუთხით დახრილ ფორმებს, სადაც კონტურები რბი-

²³ მართკუთხა შარავანდების შესახებ იხილეთ G. Ladner, The So-called Square Nimbus, Medieval Studies 3, 1941, 15—45.

²⁴ იქვე, 60, უინფილდი იმეორებს თაყაიშვილის აზრს, რომ ოშკის ეკლესია ააშენეს 959—966 წლებს შუი (Journal of the Warburg and Courtauld Institutes, 31 (1968), 39, 66. ასეთი დათარიღება თაყაიშვილს არ შემოუთავაზებია.

²⁵ თუმცა ფრონტალურობა გაბატონებულია შუა ბიზანტიურ პერიოდში, ოდნავ შეტრიალებული სხეული მაინც გვხვდება. ეს მტკიცდება სპილთა ძელის რელიეფით, სადაც წარმოდგენილია რომანოზ II-ის და ევდოკიას გვირგვინის დადგმა (945—949): Cabinet des Medailles in Paris, (A. Grabar, L'empereur dans l'art byzantin, Strasbourg, 1936, pl XXV₂), იხ. აგრეთვე კონსტანტინე IV-ის გამოცხადება (იქვე, pl. XXV). XI საუკუნის დასაწყისში სხეულის უფრო ხაზგასმული შემობრუნების ტუხდენცა მონარქების გამოსახვისას განსაკუთრებით აზრდება, ეს ჩანს იმპერატორ კონსტანტინე IX მონონახის და დედოფალ ზოიას მოზაიკაზე კონსტანტინეპოლის აია-სოფიას სამხრეთ გალერეაში (1028—1034), (J. Bockwith, Art of the Constantinople, fig. 130) ისევე კონსტანტინეს და იუსტინიანე I-ის მოზაიკაზე, იმავე შენობის სამხრეთ ვესტიბიულის ტიმპანზე (Grabar, L'empereur, pl. XXI).

ლად გადადის ფონისაკენ და ერთგვარად უფრო ძლიერ სკულპტურულ შთაბეჭდილებას იწვევს, რომელიც იზრდება თვითონ ზედაპირის სკულპტურულად დამუშავებული გრადაციებით. ეს ორივე ფაქტორი ხელს უწყობს კომპოზიციის უფრო ბუნებრივ გაერთიანებას და ქმნის დამაჯერებელ, ცხოველმყოფელ შთაბეჭდილებას. მეორე მხრივ, დაეითის ნაწილობრივად შემორჩენილი მარჯვენა თვალის მზერა ისეა მიმართული სივრცეში, თითქოს სამარადისო ურთიერთობას ამყარებს მაყურებელთან.

უჩირობა

მოლიანობის ნეკრძნება მიღწეულია მონასტრის სილამეში განლაგებით, რომლებიც ქრისტეს თავაზობენ ეკლესიის მოდელს²⁶ და აგრეთვე მათი ცენტრისაკენ ოღნავ შეტრიალებული მდებარეობით. ასეთი გადაწყვეტა განსხვავებულია სტატიკური, რებრეზენტაციური პოზებისაგან, რომლებიც საერთოა საქართველოსა და სომხეთისათვის. დავასახელოთ, კერძოდ, მეფე გაგიკის რელიეფი ახტამარის დასავლეთ ფასადზე, რომელიც ჩვენს მაგალითზე ნახევარი საუკუნით ადრე შეიქმნა²⁷. მეფე გაგიკი ზეღმიწვევით ფრონტალურ პოზაში დგას და მისი დაკავშირება მოდელთან, რომელიც მის უჭირავს, უფრო მექანიკურია და თითქმის შემთხვევითი. მაგას პოზას ვხვდებით სხვა სომხური ეკლესიების კტიტორთა რელიეფებშიც: სანაინის ეკლესიაში (966—977), სადაც ორ ძმას ეკლესიის მოდელი უჭირავს²⁸. ქართული ეკლესიებიდან — დოლისყანის გუმბათის ყელის სკულპტურაში (954—958), სადაც სუმბატ კურაპალატს ეკლესიის მოდელი უჭირავს²⁹ და შებიაკის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის რე-

²⁶ ეს მოდელი გვიჩვენებს ახლო მსგავსებას არსებულ ეკლესიასთან, გარდა გუმბათის ტალღოვანი გადახრებისა (ნახევრად გახანილი ქოლგა), რომელიც განსხვავდება თვით ეკლესიის კონსტრუქციის სხურავისაგან. ეგებ თავდაპირველად განზრახული იყო გუმბათის ტალღოვანი საბურავით გადახტრვა, როგორც მაგალითად ხანთაში, მაგრამ ნუნებლობის პროცესში გეგმა შეცვალეს და ამჟამინეს კონსტრუქტორს სხურავა, რომელიც ამ ხანიდან უფრო ვრცელდება.

²⁷ S. der-Nersessian, Aghtamar. Church of the Holy Cross, Cambridge, Mass., 1965, 30 f., fig. 7.

²⁸ O. Galpakhtchian, Sanahin. (Documents of Armenian architecture № 3), Milan, 1970, 5 fig. 13.

²⁹ პ. ინგოროვიჩი, გორგი მერჯულე, თბილისი, 1954, 358; ნ. ალალაშვილი, თბილის რელიეფი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 15, თბ., 1954, 553.

ლიეფზე³⁰. სასურაღდებოა აღვნიშნოთ, რომ ორივე ეს რელიეფი ოშკის კტიტორების თანადროულია, თუმცა ისინი უფრო მეტად სქემატური და ხაზობრივი არიან.

დავით მაგისტროსს თავისი მდგომარეობის შესაფერისი საუცხოო სამოსი აცვია: ქლამიდა (chlamys) და მთელი ტანის სიგრძის სახელოებიანი ვაბა, რაც მმართველის სამოსია (par excellence). ორივე სამოსი სქელი ქსოვილისაგან არის შეკერილი და მარგალიტებით მოქარგული. ქსოვილი მთლიანად დაფარულია მარგალიტებით შემოვლებული მედალიონებით. ყოველი მათგანი შევსებულია სტილიზებული პალმეტით. ეს მოტივი ხშირად გვხვდება ბიზანტიურ ქსოვილებზე. ჩვენი მაგალითის უახლოეს პარალელებს ვხვდებით წმინდა ვილიგისის სამოსელზე (975—1011) წმინდა სტეფანეს ეკლესიაში, მაინცში³¹ და აბრეშუმის ქსოვილზე ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში³². მე არ ვიციან საქართველოში დაცულ ადგილობრივი წარმოების ან შემოტანილ ქსოვილებს, რომლებზეც გამოყენებული იქოს პალმეტის ამგვარი მოტივი. მაგრამ ეს პალმეტები ვასაოცრად ემსგავსება მოტივებს, რომლებიც ქართული ვერცხლის ჩუდურ ხატებზეა მოცემული³³. მაგალითად, X საუკუნის მეორე ნახევრის ხატი მღვიმევიდან³⁴, მეორე ხატი ასევე მღვიმევიდან (შეწარული რუსუდანის მიერ³⁵), ხატი კაცხიდან³⁶ და სხვა მრავალი.

ქართულ არქიტექტურულ ჩუქურთმაში პალმეტის ნიმუში პირველად განვითარებული საბით გამოჩნდა ქუთაისის კათედრალურ

³⁰ ლ. რჩეულიშვილი, ორიველის საერასთავოს X საუკუნის ერთი ძეგლი, *Ars Georgica* 6, თბილისი, 1963, ტაბ. 72.

³¹ O. Von Falke, *Kunstgeschichte der Seidenweberei*, II, Berlin, 1913, 9, fig. 231; W. F. Volbach, *Early Decorative Textiles*, London, 1969, 145, 148, pl. 70; C. Bunt, *Byzantine Fabrics*, London, 1967, fig. 33.

³² Bunt, დაახ. ნაშბ. fig. 36.

³³ მაგალითად, ხობის ხატი, Г. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, I, Тбилиси, 1959, 276, т. II, таб. 63, 65.

³⁴ იქვე, I, 603, ტ. II, ტაბ. 70.

³⁵ იქვე, I, 592, ტ. II, ტაბ. 71, 75, 76, 77.

³⁶ იქვე, I, 598, ტ. II, ტაბ. 83.

ტაძარში (1003)³⁷. ამის შემდეგ მალე, XI საუკუნის I ნახევარში, მას არქიტექტურულ მორთულობაში წამყვანი როლი მიენიჭა. პალმეტის მოტივის დიდ მნიშვნელობაზე ქართულ ხელოვნებაში მიუთითებს მისი ხშირი გამოყენება სხვადასხვა სახით. კერძოდ, საეკლესიო საგნებზე³⁸ და ხეზე კვეთაში, მაგ., ხის კარები ოცინდალეანს, რომელიც XI საუკუნის I ნახევარს³⁹ მიეკუთვნება. საბედნიეროდ ხელოვნების ძეგლთა უმრავლესობა, რომლებზეც გამოიყენება პალმეტის მოტივი, სანდოდაა დათარიღებული, ისე რომ მის სტილს სტრუქტურულ კონსტრუქციას შეიძლება თვალი გავადევნოთ ქრონოლოგიურად. XI საუკუნის ბოლოდან XI საუკუნის შუა ხანამდე, როდესაც პალმეტის მაგალითები გაცილებით უფრო მრავალფეროვანია და ეს მოტივი სავსებით განვითარებულ სახეს იღებს.

ქვემო არშია, ისევე როგორც დავითის კაბის ამოჭრილი საყულო, შემოვლებულია ერთმანეთის მონაცვლე რომბებისა და მართკუთხედების ზოლით, რომელსაც ორსავე მხარეს მიუყვება სიმეტრიულად განლაგებული ნასკრეტების უწყვეტი რიგი.

მსგავსი დეკორატიული ზოლები ხშირია ბიზანტიელი საერო და სასულიერო დიდებულების სამოსზე. ადრინდელი მაგალითია სპილოს ძვლის ფირფიტა, რომელზეც გამოსახულია კონსტანტინე VII პორფიროგენეტის კურთხევა (945)⁴⁰, ხოლო მოგვიანებით — მარმარი-

³⁷ P. O. Шмерлинг, Грузинский архитектурный орнамент, Тбилиси, 1954, т. 50; J. Baltrusaitis, Etudes sur l'art Médiéval en Géorgie et en Arménie, Paris, 1929, pl. 32. ამ შეპირისპირებული პალმეტებს კარიკები ნაპოვნია კონსტანტინე ლაშხის მონასტრის ჩრდილოეთ ეკლესიაში (ადრეული X საუკუნე) კონსტანტინეპოლში; იხილეთ: C. Mango and E. Hawkins, The Monastery of Lips (Peneri Isa Camii) at Istanbul, Dumbarton Oaks Papers 18 (1964), 307, fig. 15, 16.

³⁸ მაგალითად, ზოგლეს კანელი (XI საუკუნის პირველი ნახევარი), იხილეთ: P. O. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тбилиси, 1962, 118, табл. 32 და საფარი (XI საუკუნის პირველი ნახევარი), იქვე, 125, ტაბ. 28.

³⁹ Н. Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тбилиси, 1958, 17, табл. 32, 33.

⁴⁰ A. Bank, Byzantine Art in the Collections of the U. S. S. R., Leningrad and Moscow, 1965, 353, Nos. 124, 125. ეს სპილოს ძვლის რელიეფი, რომელიც ახლა მოსკოვშია, მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგანაც იგი შეარულებულია სიმპერატორის სახელოსნოებში მხოლოდ ორი ათწლეულთ ადრე, კიდრე ჩვენი მაგალითი.

ლოს რელიეფი სუბედანეუმზე მდგარი ღვთისმშობლის გამოსახულებით სტამბულის მუზეუმში, შემკული იმავე ორნამენტული მოტივით⁴¹.

დავითს ქლამიდა თავისუფლად აქვს მოსხმული. მის ქვემოდან ჩანს კაბა, ქობას და ვერტიკალურ არშიას მიუყვება ისეთივე ნაბატი, როგორც მის კაბას. ქლამიდის საკინძე კისერთან ისეა დამტკიცებული, რომ მისი თავდაპირველი სახე და ქსოვილი ძნელი გასარჩევია. მის ქვემოთ მიმაგრებულია შემკული ტაბლიონი⁴², ხაზის მქონე მსხვილფეხების ვიწრო რიგით, რომელიც არშიას გამოჰყოფს იმავე უსიქსის შემკული ქლამიდისაგან. წრიული ფიბულა არ არის მოთავსებული ტრადიციისამებრ მარჯვენა მხარეს, არამედ მარცხენა მხარესაა. ჩანს, ოსტატის შეგნებული ცდა, რომ ხაზი გაუსვას დავითის დაყენებას მობრუნებულად, რადგან მას ეკლესიის მოდელი⁴³ უჭირავს, და ამასთანავე გამოხატოს მისი ქლამიდა მთლიანად. ამ უმნიშვნელო გადახვევით მოქანდაკემ შეაღწა დაემყარებინა კომპოზიციური სამეტრია და შეძლებისდაგვარად ეჩვენებინა დავითის მდიდრული სამოსელი. ქლამიდის ქსოვილია ორნამენტია პატარა რგოლებით შემოვლებული დიდი წრეები, რომლებიც შეიცავენ არწივის გამოსახულებებს პროფილში. მათ ნისკარტებზე ჩამოკიდებულია ე. წ. „სამეფო სამკაული“. წრეებს შორის ცარიელი ადგილები შევსებულია სტილიზებული მცენარეული მოტივებით. ამ ორნამენტული მოტივების პროტოტიპების ძებნას მივყავართ კლდეზე გამოკვეთილ სასაზურ რელიეფებთან, სადაც ფრინველი ხშირად არის გამოსახული მეფეებისა და სამეფო კარის დადებულების სამოსზე⁴⁴. ფრინველებს წრიულ

⁴¹ D. Talbot Rice, *The Art of Byzantium*, London, 1959, p. 142.

⁴² ტაბლიონის ფუნქციის შესახებ იხილეთ: R. Delbrueck, *Die Konsulardiptychen und verwandte Denkmäler*, Berlin, 1929, 38. ტაბლიონის ზომა და მდებარეობა იცვლება. ზოგჯერ ის მოთავსებულია ძალიან მაღლა, ფიბულის ახლოს, როგორც ეს X საუკუნის ვერცხლის ხატზეა ფაიდან (გ. ჩუბინაშვილი, I, 415, 11, ტაბ. 53) და წმინდა თევდორეს მინანქარზე ჯემათის ხატიდან (X საუკუნე). ამჟამად მეტროპოლიტენ-მუზეუმშია ნიუ-იორკში (S. Amiranashvili, *Georgian Metalwork*, London and New York, 1971, fig 85).

⁴³ ორივე მოდელი ერთსა და იმავე ეკლესიას გამოხატავს სხვადასხვა კუთხიდან, დავითის მოდელი გვიჩვენებს სამხრეთ მხარეს, ბაგრატის მოდელი კი — მხოლოდ სამხრეთ მკლავს.

⁴⁴ ტაყი-ი-ბოსტანში, სადაც ჩიტები მხოლოდ სამოსზეა მოცემული, სახელდობრ, სპილოზე ამხედრებულ მეომართა შარავლებზე (F. Sarre, *Die Kunst*

მოჩარჩობაში ვხვდებით აგრეთვე სასანურ ვერცხლის თასებზე, ზოგჯერ მათ ნისკარტებზე ჩამოკიდებულია მიძივი სადაფის სამი „ცრემლით“⁴⁵, ან საკიდები⁴⁶, ისევე როგორც ეს თშკშია⁴⁷ მოცემული.

ფრინველის მოტივი მარგალიტებიან მედალიონში ხშირია სასანურ ქსოვილებზე. ამ ტიპის ყველაზე ადრინდელი მაგალითი შემონახულია IV საუკუნის აბრეშუმის ქსოვილზე რელიქვიარიუმიდან,

ბიზლიქოუსა

des alten Persien, Berlin, 1922, 47, pl. 97; Von Falke, Seidenweberei, I, 78, figs. 92, 94; Elsie Holmes, The Representation of Costumes in the Reliefs of Taq-i-Bustan, Artibus Asiae 31 (1969), pl. XII), სადას მძივლების შარვლებსა და ხელთახეზე (Holmes, დასახ. ნაშრ., pl. XVI) და მუხრელების დიდებულების ხელთახეზე (იქვე, pl. XVII); Falke-ის მაგალითის შესახებ იხილეთ შენიშვნა 45.

⁴⁵ Von Falke, Seidenweberei, I, 81, 82, fig. 101. აგივე ყულსაბაში ვხვდებით კახლის ყელის მხატვრობაში, თურქეთში (იქვე, 81, fig. 100). მეფე ვაჰრამ V კურთხევის ვერცხლის თასზე კახახისა მუხრეში და მეფე შაპურ II ვერცხლის თასზე დენდერაღში (Sartre, Kunst des alten Persien, pls 106—108).

⁴⁶ მაგალითად, ირანული აბრეშუმის ქსოვილის ფრაგმენტი (შეეუთვნება III—IV საუკუნეებს) აახენის კათედრალის საგანძერში (Von Falke, Seidenweberei, I, 36, fig. 43; Volbach, Textiles, 55, pl. 22). მსგავსე მოტივები, განსაკუთრებით პერიფერიული არწივი (Von Falke, Seidenweberei, figs. 251, 253), ან ორთქიანი არწივი რომელსაც ნისკარტის შიგნულიდან ხახვარძივარისებრი ძვირფასი „სადაფის ცრემლი“ აქვს ჩამოკიდებული, ხშირად ვხვდებით ბიზანტიაში X—XI საუკუნეების იონიპეტროპოლ ქსოვილებზე (იქვე, II, 16 ff., pl. 249) და ისლამურ ქსოვილებზე (იქვე, figs 172, 173; Volbach Textiles, 133, pls 62, 64). ცალკე ან წყვილად გამოსახული სხვადასხვა ფრინველის მაგალითი (ძვირფასი ქვებით, სადაფის საკიდით თუ სხვადასხვა ფორმის ძვირფასეულობით მრავალი და სხვადასხვანაირი, მაგრამ ისინი გვერთხივებული არიან იდეოლოგიურად, როგორც სწავთ ან სამშობლოს სიმბოლოები სიწმინდესა და ხელმწიფობისა (K. Erdmann, Die Entwicklung der Sassanidischen Krone, Ars Islamica 15—16 (1951); J. Deér, Der Ursprung des Kaiserkrone, Schweizer Beiträge zur allgemeinen Geschichte 8 (1950), 31—87; A. Grabar, Umayyad Dome of the Rock in Jerusalem, Ars Orientalis (1965), 47, 48, note 82) ბიზანტიური გვირგვინის სამკაულზე იხილეთ: P. E. Schramm, Herrschaftszeichen und Staatssymbolik, II, Stuttgart, 1955, 347—417 და J. Deér, Die Mittelalterlichen Frauenkronen in Ost und West in Schramm, 418 ff.); იდეოლოგიურა შინაარსს ამ სიმბოლოური ფრინველებს (ქარშავანგების, არწივების) ბიზანტიაში არსებითად ისეთივე, როგორც მათ სპარსულ ანიონებში, და დამატებით კოსმიური ნიშნისა და ევლადების მნიშვნელობა აქვს (E. Kitzinger, The Horse and Lion Tapestry, Dumbarton Oaks Papers 3 (1946), 16, note 53, p. 20, note 64).

⁴⁷ თშკში, დასავლეთი ფასადის შეწყვეტილი სარკმლის ზენით, გამოსახულია პირისპირ მდგარი გრიფონები, ნისკარტებზე ჩამოკიდებული საკიდებით.

რომელიც ინახებოდა ლატერიანის სანკტა სანკტორიუმში, რომში და ახლა ვატიკანშია⁴⁸. თუ მხედველობაში მივიღებთ მათ გამოყენებას ოშკში, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სასანურ ფრინველთა მოტივი საკმაოდ ცნობილი იყო საქართველოში⁴⁹, სპარსული წარმოების ქსოვილები აქ შემოიტანდათ⁵⁰. ერთ-ერთი მათგანი კვლავ გვიჩვენებს ორმაგი მარგალიტის წრეს⁵¹.



შემდეგი მსგავსება დავითის ქლამიდის ორნამენტულ ნახევრებსა და სპარსულ ქსოვილებს შორის: მათში გამოყენებულია ორნამენტული მარგალიტების ასხმა, რომელიც დიდ წრეებს⁵² აკავშირებს. სპარსული მოტივებისადმი აშკარა ინტერესი ჩანს სამხრეთის მკლავის დასავლეთის ნიშის სარკმლის სათაურზე გამოსახულ წყვილ დაპირისპირებულ ფრინველებში. ეს ჩიტები დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ სასანურ ნიმუშებთან (სპილოზე მჯდომი მზედრების მორთული შარავ-

⁴⁸ Von Falke, Seidenweberei, 1, 81, fig. 99; Volbach, Textiles, 105, pl. 23-ეს მოტივი შორს გავრცელდა, თურქესტანში, სადაც მას ვხვდებით კიხლის კედლის მხატვრობაში (დასაბ. ნაშრ., 81, fig. 100).

⁴⁹ სასანური ფრინველების მოტივის პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენის მაგალითია კავკასიაში ქვეყნებში მათი გამოყენება მმართველების სამოსზე — მეფე გავიკის რელიეფი ასტანარის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე (915—921), ვანის ტბაზე (S. der Nersessian, Aghtamar church of the Holy Cross, (Harvard University Press, 1965, 31, fig. f).

⁵⁰ ამ ქსოვილების უთვალავი ნიმუში საქართველოს ჩრდილოეთ რაიონში, კერძოდ სვანეთის ეკლესიებშია, სადაც აბრეშუქმის ფრაგმენტები გამოყენებულია როგორც საფარი ხატებისათვის, რელიეფებისა და რელიეფარიუმების შემოსახვევები. ეს ქსოვილები უკანასკნელ დრომდე არ ყოფილა სისტემატური შესწავლას საგანი, თუმცა რამდენიმე მათგანი გამოქვეყნდა უვაროვას წიგნში: Материалы по археологии Кавказа (შემდეგში მოეახსენიება, როგორც МАК), XII, Москва, 1904, 154—162; იხ. აგრეთვე Н. Кондаков, Очерки, Прага, 1929, сс. 338—345; შ. კეცხოველი, სვანეთის დეკორატიული ქსოვილები, „ძეგლის მეგობარი“-5, თბილისი, 1965, გვ. 18—22; მისივე, შუა სუვენიერების დეკორატიული ქსოვილები ზემო სვანეთიდან, თბილისი, 1928.

⁵¹ Кондаков, დასაბ. ნაშრ. 338, рис. 98.

⁵² იქვე. ანალოგიური წრიული მოჩარჩოება გვხვდება ზემოაღნიშნულ სასანური აბრეშუქმის ქსოვილებზე (იხ. შენ. 46) და ცხოველების მრავალრიცხოვან გამოსახულებაზე, როგორცაა სენპეტრე (VI—VII საუკუნეები) ვიქტორიასა და ილბერტის მუზეუმში (Volbach, Textiles, 105, pl. 21) და პეცის ქსოვილებზე (Von Falke, Seidenweberei, fig. 49), რომელთა ანტიწოდანსა, მაგრამ მოქსოვილია სასანური პროტოტიპების მიხედვით (იქვე, 39).

ლები ტაკ-ი-ბოსტანიდან⁵³. ამ ორი ნიმუშის სიახლოვე ისეთ დეტალებში ჩანს, როგორცაა ვერტიკალურად აწეული კულები, ხვეულების გაბედული ხაზგასმა.

ასეთი მაგალითი ოშვიდან არ არის ერთეული ფენომენი. X საუკუნის მეორე ნახევარში და XI საუკუნის პირველ ნახევარში ამავე ფრინველების ზუსტ რეპლიკებს ვხვდებით საქართველოს/საეკლესიო საგნებზე, მაგ., X საუკუნის კანკელი ფოთის ეკლესიაში. არქიტექტურული სკულპტურის მაგალითებს წარმოადგენს ნიკორწმინდის⁵⁴ ეკლესიის სამხრეთი კარიბჭის ლიუნეტზე და პატარა ონის დასავლეთი შესასვლელის ტიმპანზე (ორივე დათარიღებულია XI საუკუნის პირველი ნახევრით), სადაც გამოსახულია შეპირისპირებული ოფოფები⁵⁵. საყურადღებოა, რომ ყველა ამ მაგალითში, ისევე როგორც ოშკში⁵⁷, ფრინველებს ნისკარტით „სამეფო სამკაული“ უჭირავთ. ფრინველები (მამალი) უჩვეულო დახვეული კუდით მოცემულია ქსოვილებზე, მაგალითად, აბრეშუმის ფრაგმენტზე ჩრდილოეთ კავკასიიდან, ამჟამად ლენინგრადის ერმიტაჟის მუზეუმში⁵⁸.

⁵³ Von Falke, Seidenweberei, 78, fig. 93.

⁵⁴ Шмерлинг, Малые формы..., 91, таб. 23₂.

⁵⁵ ნ. ალადაშვილი, ნიკორწმინდის რელიეფები, თბილისი, 1957, 74, ტაბ. 28; J. Baltusaitis, L'art Médiéval en Géorgie et en Arménie, Paris, 1929, 45, 44, fig. 66.

⁵⁶ E. Takaišvili, Antiquities of Georgia, Georgica 4—5, Hertford, 1937, 113, pl. XXI 2.

⁵⁷ შეპირისპირებული ფრინველები, ნისკარტებიდან ჩამოშვებული „სამეფო სამკაულით“ ან სხვადასხვა ფორმის საკიდებით, შეიძლება შევადაროთ X საუკუნის კიდევ ორ მაგალითს პარხლიდან (ალადაშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. 37) და კემურლოდან (იჭვია, ტაბ. 39). აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ანალოგიური მოტივები ქართულ ხელნაწერთა ილუსტრაციებშიც გვხვდება. მაგ., XII საუკუნის გრუჭის სახარებაში (Ш. Амиранашвили, Грузинская миниатюра, Москва, 1966, таб. 45) ო.

⁵⁸ Кондаков, Очерки, 339, 340, рис. 100; A. Bank, Byzantine Art, Leningrad-Moscow, 1966, 352, no 121. ამ ნაშლების ზუსტი რეპლიკები შემონახულია ზიხანტიურ აბრეშუმის ქსოვილებზე (Von Falke, Seidenweberei, II, 7, fig. 226): ერთი—ხელ-თორკში, რომელსაც ფოლბახი VIII საუკუნეს მიეკუთვნებს (Early Christian Art, 362, pl. 258) და მეორე, იმპერატორ ჰერაკლეს მონაფრაჟიონ-ლიეში (J. Ebersolt, Les arts somptuaires, 50, fig. 17). ნართლია, ეს ფრაგმენტი მიეკუთვნება ათრაულ-ვევიბტური ეკლემიადების პერიოდს (910—1171), მეორამ პიო-

ქართველი ოსტატები ფრინველის მოტივს საკვირველი სიზუსტით გამოხატავენ და იგი არქიტექტურულ ქანდაკებაში ჭარბობდა X—XI საუკუნეებში. სასახური ფორმების არსებობა საქართველოში აიხსნება სპარსეთთან გეოგრაფიული სიახლოვეთ⁵⁹, ეკონომიკური კავშირით ამ ორ ქვეყანას შორის, მათი პოლიტიკური ურთიერთობით და ბოლოს მაზდეანური რელიგიის გავრცელებით იმ პერიოდში⁶⁰. ასე რომ, ჩვენ არ უნდა უგულებელვყოთ იმ აბრეშუმის ქსოვილებისა და მოქარგული სპარსული საშოსის მნიშვნელობა, რომლებიც ქართველი მეფეები სპარსი მეფეებისაგან საჩუქრად იღებდნენ⁶¹.

ბაგრატ ერისთავთერისთავი ოშკში წარმოდგენილია იმავე საცერემონიო ძვირფასი სამოსით (ქლამიდა და კაბა), როგორც მისი ძმა დავითი⁶². მცირედი განსხვავებაა ორნამენტულ სახეებში, კერძოდ, არ არის მოცემული არწივის მოტივი⁶³. მის ქალამიდაზე პატარა მარგალიტების მწკრივით გარშემორტყმული წრეები შედგენილია თირკმლის ფორმის რიგით, რომლის ცენტრში მარგალიტის ასხმით შემოვლებული მარტივი წრეებია. კაბა მოთუთულია მარგალიტის ასხმის წრეებით, რომლებშიც ჩაწერილია რგოლები, გულის ფორმის სამყურა ფოთლების რიგით⁶⁴. თავისუფალია არეები ღიდ წრეებს შორის.

ქრულია სასახური პროტოტიპების სტილში (К ондаков. Очерки. 339). ასე რომ ოშკელი ოსტატები კარგად იცნობდნენ სპარსულ მოტივებს და იყენებდნენ მათ არქიტექტურულ სკულპტურაში, განსაკუთრებით ოშკის ეკლესიაში.

⁵⁹ მაგალითად, არტანუჯი, რომელიც ოშკის მეზობლად მდებარეობს, მონღოლების შემოჭრამდე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი იყო (Constantine Porphyrogenetus, De Adm. Imp., ed. Cy. Moravcsik, Budapest, 1949, chap. 46, 42—48).

⁶⁰ ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1951, 284.

⁶¹ ქართული ჭრთნიკა გვიამბობს, რომ სპარსეთის მეფემ აბერის მეფე ვახტანგს (V ს.) გაუგზავნა გვირგვინი და ღიდი რაოდენობით სამიპერადო სამოსელი (ქართლის ცხოვრება, I, ს. ჯავახიშვილის გამოც., თბილისი, 1955, 18119, 18321).

⁶² უიანელდის სტილიაში წარმოდგეილია ზემოთ აღხიშნული ბაგრატ ერისთავთერისთავი (დასახ. ნაშრ. 7 ბ), რომელსაც შეცდომით დავითთან აიგივებს (?).

⁶³ არწივის მოტივი უქონლობა შესაძლოა არ არის შემთხვევითი, რადგან ბაგრატს არ ჰქონდა ნაბოძები ბიზანტიური ტიტული.

⁶⁴ განსაკუთრებით საყურადღებო ეს მოტივი არ იყო ფართოდ ცნობილი, მაგრამ იგი გვხვდება ბიზანტიურ ქსოვილებზე VIII ს-დან XI საუკუნემდე: ეახსტა-

როგორც დავითის ქლამიდას, ასევე ბაგრატის ქლამიდასაც გულსპირზე მარჯვენა მხარეს, ტაბლიონს ზემოთ, ბაბთა აქვს გამოსახული. მაშინ როდესაც, მეორე მხარე სადად არის დატოვებული. შეუძლებელია იმის დადგენა თუ რა უნდოდათ გამოესახათ: ბეწვით გაწყობილი საყელო თუ სხვა რამ, მაგრამ ცხადია, არა დაგრებილი ყელსაბამი (torques)⁶⁵.

თავდაპირველად ორივე მმართველს თავზე ჩვეულებრივად ედგათ, მაგრამ მხოლოდ დავითის გვირგვინიღა შემორჩენილია ბიზანტიური მართკუთხედებითა და რომბებით, რომელნიც ძვირფას ქვებს გაღმოსცემენ. ამ გვირგვინის ფორმა მსგავსია თანადროული ბიზანტიური მაგალითებისა, როგორცაა კონსტანტინე VII-ის გვირგვინი სპილოს ძვლის რელიეფზე (945), მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში⁶⁶, ან რომანოზ II-ისა და ევდოკიას გვირგვინები სპილოს ძვლის რელიეფზე (945—949) პარიზში (Cabinet des Medailles)⁶⁷. რა თქმა უნდა, ეს საიმპერიო გვირგვინებია — სტემა (στέμμα)⁶⁸ და არა სტეფანოზი (στέφανος), რომელსაც ბიზანტიელი იმპერატორები იძლეოდნენ უცხო მეფეებს საჩუქრად კარგი სამსახურისათვის, როგორც ეს მიიღო ლაზების ერთ-ერთმა მეფემ — წათემ — იუსტინიანესგან (Infra note 92). ზუსტად კოდციფიცირებული ბიზანტიური წესების მიხედვით, დავითის გვირგვინი შეიძლება იყოს მხოლოდ სტეფანოზი, რადგან მას აკლია სტემის აუცილებელი ატრიბუტები: გვირგვინის შუაში ამოწყული ჭვარი და პენდილია (χατασπισμα)⁶⁹, მაშინ რო-

ტის „დანიელის ქსოვილის“ წრიული ბორღურა (Von Falke, Seidenweberei, I, 96, fig. 133), დიუჟელდორფის XI საუკუნისა მეწამული ქსოვილი (იქვე, II, 8, fig. 230).

⁶⁵ ეს შემოთავაზებულია უინფლდის მიერ (დასახ. ნაშრ.).

⁶⁶ Grabar, L'empereur, pl. XXV; Bank, Byzantine Art, pls. 124, 125.

⁶⁷ Grabar, op. cit., pl. XXV.

⁶⁸ ფორმალური და შინაარსობრივი განსხვავება სტემას (stemma) და სტეფანოსს (stephanos) შორის დეტალურად განხილულია ლეროს მიერ (Ursprung der Kaiserkrone, 78 f., note 131); იხ. აგრეთვე Schramm, Herrschaftszeichen und Statssymbolik, II, 428, note 1; Κορυζაკია, Οικειν, 213.

⁶⁹ იგი შედგება მარგალიტების ასხმის ან ძვირფასი ქვებს რიგისაგან, რომელიც თქრის მძაფების ასხმაზეა დამაგრებული, და ჩამოკიდებულია გვირგვინის ორსავე მხარეს, ეკრებს ქვემოთ, მხრებაშდე. χατασπισμα-ს აღწერა ნახეთ ანა კომნენ-

დესაც ბაგრატის გვირგვინის გამოსახულებაზე, რომლის მხოლოდ უნიშვნელო ნაწილი შემორჩა, ორივე პენდილია საკმარისად კარგადაა შემონახული და, ჩანს, რომ იგი სამკუთხედებით დამთავრებულ ბრტყელ ოქროს ფირფიტას წარმოადგენდა.

საიმპერატორო ნიშნის გამოყენება იმპერატორის ერთ-ერთი პრივილეგია იყო და ძნელია ისე ავსანათ მათი არსებობა ბაგრატის გვირგვინზე, თუ არა როგორც საიმპერატორო სტატუსის უპირობაციო თუშნავე არ არის ერთადერთი შემთხვევა. საქართველოში გვირგვინის მსგავსი მაგალითი: ერთია, მეფე დავით აღმაშენებლის მონეტა, მოჭრილი 1123—1125 წლებში⁷⁰, და მეორე — მეფე გიორგი III-ის მონეტა, მოჭრილი 1174 წელს⁷¹.

ზოგიერთ სასარგებლო ინფორმაციას გვაძლევს დავითის ფეხსაცმელი. მას აცვია მაღალგელიანი უქუსლო წაღები, რომლებიც მხედრის წაღებად შეიძლება ჩაითვალოს (წაღება — tzungia)⁷². ისინი ტყავის თასმებით მაგრდება, წვეკრულია კოჭის მხარეს წაღები, ჩანს, თავდაპირველად მართული აყო ნასვრეტებით, მაგრამ ქვა ამჟამად იმდენად გაცვეთილია, რომ შეუძლებელია მათი ორნამენტული მოტივის აღდგენა⁷³. ძვირფასი ქვებით, მაგრალიტებით მოქარგული, არწივებით შემკული წითელი ან მეწამული მხედრული წაღები⁷⁴ სა-

ნსთან (Alexias, II, 4), ცატირებულია აქვრის მღერ (Ursprung der Kaiserkrone, 20); Schramm, Herrschaftszeichen und Staatssymbolik, II, 381, 563); Wessel RBK, III, s. v. Insignien, 383 (§ 5).

⁷⁰ დ. კახიანიძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 66—68, № 54.

⁷¹ იქვე, 73, nos. 61, 62. საინტერესოა, რომ მეფე გიორგი III-ის გვირგვინს აქვს არა მარტო პენდილია, არამედ ჯვარიც, რომელიც საიმპერატორო ტრიბუტია აგრეთვე და სტემას მიეკუთვნება.

⁷² Tzungia-ს შესახებ იხილეთ (Wessel, RBK, III, s. v. Insignien, col. 44), Tzungion-ის ქართული ეკვივალენტი ნიკეა, რომელიც ჩვეულებრივ სამოსლის ფერია (ივ. ჯავახიშვილი, წყაროები და მასალები ქართველი ხალხის ისტორიისათვის, III, IV, თბილისი, 1962, 155, წგნ. 1; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, 32).

⁷³ ბაგრატის წაღების შემორჩენილი ნაწილი მიუთითებს მათ მსგავსებაზე დავითის წაღებთან.

⁷⁴ Wessel, RBK, III, 446. მაგალითად, იმპერატორ ნიკეოდორე ბოტანიიტს (1078—1081), გამოსახულს პაჩიხის ნაცინალურია ბიბლიოთეკის ოცხეც ოქროშირის პილოების ხელნაწერს (MS Coislin Cr. 79, fol. 2 r, მოყვანილია მხოლოდ ხე-3. ვ. ჯობაძე.

იმპერიო რეგალიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა სამეფო კარის ცერემონიალის დროს⁷⁵. ამ ტიპის ფეხსაცმლის აღრეული მაგალითები გვხვდება მაგნუსია დიპტიქონზე (518)⁷⁶, ასეთი ფეხსაცმელები აცვიან გალაშქრებს პრობიანუსის (411) დიპტიქონზე⁷⁷, კონსტანტინეს და იუსტინიანეს წმინდა სოფიის ტაძრის ფესტივალის მოწიგაზე⁷⁸. ცხემოსან იმპერატორს, სპალოს ძვლის წატყუპის მოწიგაზე, ტროილეს კათედრალში⁷⁹, აცვია რამდენაღმგინტაქიფიფიფი წალები, რომლებიც მუხლებამდე აღწევენ.

ქართულ არქიტექტურულ სკულპტურაში ყველა კტიტორს, უგამონაკლისოდ, რბილი ტყავის მიღალი წალები აცვია⁸⁰, მაგრამ ოშკის ცკლესია კტიტორებისაგან განსხვავებით, ისინი არ არიან მოროფ-

ლოვნებს ენცკლოპედიაში, 111, ტ. 485) ნინოტარიუსი აცვია წითელი izangia, ოქროთი ამოჭარბული არშით, მეწამულ izangia-ზე იხილეთ: Киандакин. Очерки, 268, 297, ир. I.

⁷⁵ Trellinger, Oströmische Reichsiegel 113 სადაც წითელი izangia prokypsis პროცესებში აღწერილი. Ps. Kudas (111, 171₁₂ 17, cd. Verpeaux-ის მიხედვით მომავალ ვსცლს ცხატა RBK-დან, 446, სადაც izangia აღწერილია როგორც საიმპერატორო ნიშანი.

⁷⁶ W. F. Voldach, Elfenbeinarbeiten der Spätantike und des Frühen Mittelalters, Mainz, 1952, 29 no 24.

⁷⁷ იტყვე, 41, 42 no 62; Wessel, RBK, 111, 447.

⁷⁸ Grabar, L'empereur, pl. XXI.

⁷⁹ Goldschmidl and Weitzmann, Die Byzantinischen Elfenbeinskulpturen, I, no. 122; Grabar, L'empereur, 59 ff.

⁸⁰ ყველაზე მეტად ცნობილია სტეფანოზ პატრიარქოსის, დემეტრე ეპატოსის და ქობულ ატრატეგოსის კტიტორული რელიეფები მცხეთის ჭერის აღმოსავლეთ ფასადზე (V: საჯუენის ბოლო - VII საუკუნის დასაწყისი). (W. Djobadze, The Sculptures on the Eastern Facade of the Holy Cross of Mtskheta, Oriens Christianus 44 (1960), figs. 2, 3, 4; იტყვე, 45 (1961), 71 note 137. მხოლოდ რელიეფი, რომელიც თბილის ეკლესიოდახა და ახლა თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია (IX საუკუნის I მეოთხედი), ამოტ კერამიკატიი გამოსახული (ს ლაღა შვილი, ნიკორწინდის რელიეფები, 55, ტაბ. 32). მესამე რელიეფი წარმოადგენს მეფე სუმბატა (927—959), რომელიც ასევე დაჯილდოვდა ბიზანტიური კერამიკატიი ტიტულით (954) და გამოსახულია დოლისიანის ცკლესიის გეშხათის ყელის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე (D. Winfield, Some Early Medieval Figure Sculpture from Northeast Turkey, Journal of the Warburg and Courtauld Institutes 31 (1968), 35 pl. 4 a). ბოლო ორი ნეგალითი ოშკის მიდამოებშია განლაგებული.

ლი და არა აქვთ ტყავის თასმები. გამოჩაყლის წარმოადგენენ ჯვრის ეკლესიის კტიტორები. ყველა ზემოხსენებული პირი, რომელსაც წაღები აცვია, ბიზანტიურ ტიტულებს ატარებს, ამდენად წაღები იმპერატორის მიერ ბოძებული ბიზანტიურ ტიტულს ნაწილად უნდა ჩაითვალოს⁸¹.

დავითის და ბაგრატიის გვირგვინების, სამოსის და სხვა ნივთების გამოკვლევას მივყავართ მათ ბიზანტიურ წარმომადგენლობაზე, რომელიც თავის მხრივ ფრინველისა და ცხოველის სპარსულ მოტივებს ბაძავდა და დიდი ხნის წინათ ათვისა სპარსული კარის ეტიკეტი და მოდა⁸². X საუკუნეზე უფრო ადრინდელი არწივისმოტივიანი სამოსი, მართალია, არ შემორჩენილა⁸³, მაგრამ ასეთი ქსოვილობის არსებობაზე მიუთითებს ფრინველთა გამოსახვა თეოდორას მხლებლებს შორის ორი ქალის დაღმარებულ რაგენაში, სან ვატალეს პრესბიტერიუმში⁸⁴ და იუსტინიანეს ტაბლიონზე იმავე ადგილას⁸⁵. ასეთივე სამოსელი გვხვდება საატ აბოლიხარე იმ კლავში (549), ტრიუმფალურ თაღს ქვემოთ გამოსახულ მთავარანგელოზთა ტაბლიონებზე⁸⁶, და ბევრად უფრო გვიან — მეფე დავითის სამოსზე, ახტამარის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე (915—921)⁸⁷. კონსტანტინე VII პროფირგენეტი თავის De ceremoniis-ში, რომელიც დაახლოებით ოშკის კტიტორული რელიეფების თანადროულია, გვაცნობებს, რომ ბიზანტია მდიდარი იყო ასეთი ქსოვილობითა და სამოსელით. მაგ., იგი აღწერს სკარამანგიონს არწივის

⁸¹ კონსტანტინე პროფირგენეტი აღნიშნავს, რომ ბიზანტიურ ტიტულთან ერთად ეცხოდნენ დიდებულებს თავიანთი სამსახურისათვის აღიარებული სამოსით, ქაბუბით და „ტყავის თასმებთან წითელი წაღებით“ ასაჩუქრებდნენ. (De cerem., I, Bonn ed., 1839, 470₍₁₂₋₁₃₎); Wessel, RBK, III, 336, s. v. Insignien.

⁸² Procopius Caes., Anecdota (=hist. arc), VII, 3.

⁸³ ეს განაკუთრებით სწორია პროფილში გამოსახული არწივების მიმართ.

⁸⁴ F. W. Deichmann, Frühchristliche Mosaiken in Ravenna, Baden-Baden, 1958, Fig. 361, 366.

⁸⁵ იქვე, Fig. 370, pl. X.

⁸⁶ იქვე, Figs 402—403.

⁸⁷ იხილეთ შენიშვნა 49.

მოტივით წრეებში⁸⁸ და სამოსს ანალოგიური საბეჭით⁸⁹. ცნობილია აგრეთვე, რომ ასეთი სამოსი არწივის მოტივით, უმთავრესად, გამოყენებოდა იმპერატორების მათი ოჯახის წევრების, მათი ნათესავების მიერ, როგორც ძალაუფლების და უკვდავების სიმბოლო⁹⁰.

ბიზანტიელი იმპერატორების მიერ უცხოელ დიდებულთათვის ნაბოძებ რეგალიებს შორის კონსტანტინე აღნიშნავს სხვადასხვა ქსოვილს, შერჩეულს კრესტსაბმელებსა და სამოსისათვის სხვადასხვა ტიპის და ფერის სკარამანგიონებს (თეთრი, ყვითელი, წითელი), განსხვავებული საბეჭით შექმულ კოლობიუმებს და სხვადასხვა ფერის კრესტსაბმელებს⁹¹. სხვა ადგილას იგი ჩამოთვლის მოქარგულ სამოსს მორთული საყუდლოებით; განსხვავებული ნახატით შექმულ, სხვადასხვა ფერის სკარამანგიონებს მეწამული ნაკერებით, სამოსს მანიაკით; შარვლებსა და ქამრებს⁹².

მაღალი წოდების დიდებულთათვის განკუთვნილ საჩუქრებს შორის კონსტანტინე ასახელებს სამოსს, მასზე ამოქარგული მეწამული არწივებით და საიმპერიო ემბლემებით, მეწამულ ქამრებს და წითელ წილებს ტყავის თასმებით⁹³.

ქართული მეფეები და დიდებულებიც იღებენ ბიზანტიურ საიმპერიო საჩუქრებს. პირველი ასეთი ჭილდო მიიღო წათემ, ლაზების მეფემ, რომელიც გვარგვინით დაჯილდოვდა, მიიღო აგრეთვე თეთრი ქლამადა, რომელსაც ჰქონდა ტაბლიონი ზედ ამოქარგული იუსტინიანეს პორტრეტით⁹⁴, იმგვარადვე მოქარგული სტიხარიონი, სპარ-

⁸⁸ De cerem., chap. 15, p. 578; Кондаков, Очерки, 301; Von Falke, Seidenweberei, 11, 6.

⁸⁹ De cerem., Кондаков, დაახ. ნაშრ. 301; Von Falke, op. cit., 252, 253, 254. არწივისმოტივიანი ქსოვილი გამოყენებული იყო არა მხოლოდ ხაერო, არამედ სასულიერო სამოსისათვისაც, როგორც ეს დასტურდება სამღვდლო პირის გრძელი შესამოსელით ბრიგსენიდან, 1000 წ. ახლს, (Von Falke, Seidenweberei, 11, 17, Fig. 250); აგრეთვე, Volbach, Textiles, 134.

⁹⁰ Кондаков, Очерки, 360.


⁹¹ De cerem., I, 469₁₅₋₁₈.

⁹² იქვე, 1,740₁₀.

⁹³ იქვე, 1,47₁₂₋₁₃.

⁹⁴ შესაძლოა მაგისტო პორტრეტი ამოქარგულია დედოფლის ქლამიდის ტაბლიონზე (და არა დილაპატიაზე, როგორც ფოლბახს ბევს აღნიშნული), დიპტიქონზე ბარჯელოდან; დაახ. 500 წ. (Volbach, Elfenbeinerbeiten, 38, NO. 51).

სულ ყაიდაზე მარგალიტებით შემკული წითელი ჩექმები და მარგალიტებით მორთული ოქროს ქაშარი⁹⁵.

ცნობილია აგრეთვე, რომ ბიზანტიის იმპერატორმა ბასილმა (867—886) გაგზავნა სპეციალური ემისარო (პატრიკი, ამავე დროს პროტოსპათარიუსი და ლექტორი კონსტანტინე)  (სადაც ოშკი მდებარეობს) სპეციალური დოკუმენტებით, წარჩინების ნიშნით და მაგისტროსის ტუნიკით, რათა გურგენის (881—891) დაეჯილდოებინათ მაგისტროსის ტიტულით⁹⁶, მსგავსად ქართველ ბაგრატიონთა დინასტიისა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობები, რომლებიც დავითისა და მისი ძმის ბაგრატის კოსტიუმებისა და რეკალივების წარმოშობას აღმსტურებენ, გადმოცემულია იოანე სკილიცას მიერ. მის ქრონიკაში აღნიშნულია, რომ რომანოზ II-მ გაუგზავნა წარჩინების ნიშანი და კურაპალატის ტიტული იბერიის მეფე დავითს⁹⁷, ოშკის კტიტორს. რადგან დავითის რელიეფების წარწერები მას მიმართავენ როგორც

⁹⁵ Chron. Paschale, 522, 1, 613₁ ff. (Bonn edn.); John Malalas, Chron., XVII₁₂, 413 ff.; Grabar, L'empereur, 6, note 2; Trellinger, Oströmische Reichsidee, 204, შენიშვნა 193; დამატებითი ინფორმაციისათვის: პეტრონიუმ წათყისინ გაგზავნა საჩუქრები, რომლებიც ვადაცემულ იქნა ზონარის მიერ; იბილეთი, თბილისი, 1966, 135, 146.

⁹⁶ De Adm. Imp., chap. 46₄₆₋₄₈; Trellinger, op. cit., 194, note 52; შენიშვნა 52; იბილეთი აგრეთვე: M. C. Ross, A Byzantine Imperial Scepter for Easter and a Pectorial Cross, Jahrbuch Österr. Byzantin. Ges. 9 (1960), 92. ამ ნარკვევში როსი გამოთქვამს აზრს რომ ბასილ I-ის მიერ იბერიელი მეფის გურგენისადმი (არა დავითისადმი, როგორც როსს მიაჩნია) გაგზავნილ საჩუქრებს შორის იყო ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს სამკერდე ჯვარი (ახლა თბილისის სახელმწიფო მუზეუმშია). ამ ჯვარის ფერადი ფოტო წარმოდგენილია ამირანაშვილის მიერ (Georgian Metalwork, 52, 58, pls. 29, 30); თუმცა ამ ჯვარს მსგავსი დიპლომა VIII—IX საუკუნეებით და მისი წარმოშობის განსაზღვრა აშკარად მცდარია.

⁹⁷ Trellinger, Oströmische Reichsidee, 194, შენიშვნა 152. ამ შემთხვევაში ტრეტიანგერი მიუთითებს სხვადასხვა წყაროებს, რომლებსაც შეიძლება დავეუბნოთ იაქია ანტიოქელი, რომელიც აღნიშნავს, რომ რომანოზ II (979) დაეჯილდოვა ტაო-კლარჯეთის მეფე დავით სამოსელთ, წარჩინების ნიშნით და კურაპალატის ტიტულით უზურპატორ ბარდას წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერისათვის (I. Kratshkovsky and A. Vasiliev, Histoire de Yahya-Ibn-Said d'Antioche (Patrologia Orientalis, 23, fasc. 3, Paris, 1932, 429—430); ივ. კიკელიძის მიერ, ქართული ბალეოგრაფია, თბილისი, 1949, 70.

მაგისტროსს და არა კურაპალატს, ჩანს, წარჩინების ეს ნიშანი და ტიტული ებოძა ბიზანტიის იმპერატორისაგან მისი მაგისტროსის ტიტულით⁹⁸ მოხსენიების შემდეგ.

კატიტორთა რელიეფების მონათხრობი




კატიტორთა რელიეფებს წინათ უცნობი ნიშნის მქონე მოთავსებულია ეკლესიის სამხრეთ ნკლავში⁹⁹, რომელიც თურქებმა გადააქციეს ჯამედ, მაგრამ შემდეგ მიატოვეს. რელიეფები ნიშის კონქის გვერდით არის განლაგებული (აიმაღლე — 3.35 მ, სიგანე — 0.31 მ ზემოთ, 0.35 მ — ქვემოთ)¹⁰⁰, სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ მხარეს¹⁰¹. კონქა შედგება ქვემოთგან რადიალურად გაშლილი წიბოებისაგან, რომლებიც ნაოჭებთან ნიქარის ფორმას იღებენ

⁹⁸ ზუსტი მონაცემები, თუ როდის დაჯილდოვდა დავითი მაგისტროსის ან კურაპალატის წოდებით უცნობია. ტრუტ-ბეგოვ (იხ. მენიშენა 97) ვარაუდობს 990 წ., იაქია ანტოქელე — 979 წ. (Kratschkowsky and Vasiliev, op. cit., 429 f., 171). ჯველაზე პირდაპირად წყარო, საიდანაც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია, პარხლის სახარებაა, რომელიც გადაწერილია იოანე ბერაის მიერ შატბერდის მონასტერში 973 წელს და შეწირულია პარხლის მონასტრისადმი; აქ დავითი მოხსენიებულია მაგისტროსად (E. Takahashi, MAK XII, 138—149). ოსკში 977 წელს გადაწერილ ხელნაწერში დავითს ეკვმ ნახსებებია როგორც კურაპალატი. R. Blake, Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Lavre d'Iviron du Mont Athos, ROC 28 (1931—1932), 49—53, იხილეთ: აგრეთვე იხ. ჯავახიშვილი, პალეოგრაფია, თბილისი, 1926, 166. რადგან ორივე ხელნაწერი გადაწერილია ერთი და იმავე რაიონის მონასტრებში, რაზედაც აქვთ დავითს ანუ მის ხელს შეუწყო მათ მშენებლობას, ამ ცნობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

⁹⁹ რელიეფები დაფარული იყო ტალახითა და აეთრი საღებავის სქელი ფენით და არ ჩანდა 1973 წლის პაუზუკლამდე.

¹⁰⁰ ფოტოსკრატზე მხოლოდ ნიშის ზედა ნაწილი ჩანს, რადგან ის ზუამია გაყოფილი თურქული ჯამეთა, რომელიც შეუძლებელს ხდის მთლიანი ნიშის გადაღებას.

¹⁰¹ ეს ურთ-ერთი იმ ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯთაგანია, რომლებსაც გუმბათი ეყრდნობა.



საქართველოს
 მუზეუმების
 ინსტიტუტი

სურ. 2. თშკი. სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი. ვ. ჯობაძის რეკონსტრუქცია.

და ბოლოვდებიან ნახევარწრიული სეგმენტებით, რაც მთლიანად კონქს ციური კამარის სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს¹⁰².

ყოველი გამოსახულება ამოჭრილია წვრილმარცვლოვანი კირქვის ბლოკისაგან, მარცხნივ — დავითი და მარჯვნივ — ბაგრატი. რელიეფები შედარებით პატარა ზომისაა (0.35×0.48) და შეიცავს სტილიზებული მცენარეული ორნამენტის ზოლს (0.08)¹⁰³. სხვა კაპიტორულ რელიეფებთან შედარებით, ეს გამოსახულებანი ძლიერ დაზიანებული არიან, კერძოდ სახეები და ჯვრები, რომლებიც მასამხინჯეს წვეტიანი მარაღით, ორივე რელიეფის მთელი ფართი შევსებულია თანადროული ასომთავრული (მრგვლოვანი) წარწერებით, რომლებიც, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნული წარწერები, შესრულებულია ღია წითელი საღებავით.

დავითის რელიეფის წარწერა კარგადაა შენახული, ზოგიერთი გაფერმკრთალებული ასოს ვარდა; რომლის აღდგენაც შეიძლება. ბაგრატის რელიეფის წარწერა ვრცლად აღუადგინეთ მისი ასოები მნიშვნელოვნადაა წაშლილი, მაგრამ ჯერ კიდევ შესაძრწევია. სხვადასხვა ვარაუდებამ არ მომცა საშუალება, რომ გამეწმინდა და გადამეწერა ეს წარწერები, თუმცა ხელი მოეკიდე მოსამზადებელ სამუშაოებს; აქ ვთავაზობთ რელიეფების წარწერების ექსპერიმენტალურ რეკონსტრუქციას. შემოკლებების ტრანსკრიფციის შემდეგ თანამედროვე (მხედრული) ქართული შრიფტით წარწერები შემდეგნაირად იკითხება:

¹⁰² ამ აზრს განმტკიცებს ჩრდ.-დასავ. ბერძნის ნიშა ხახლის ეკლესიაში, რომელიც წინ უსწრებს ოშკს ათწლეულით. ნიშაზე და ნაწილში შემორჩენილია ფრესკის ფრაგმენტი ოთხვეტიანი ნახევარწრიული ციბორიუმის გამოსახულებით. ციბორიუმის იკონოგრაფიისა და სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ როგორც ციური კამარის, ანტიკურ და ბიზანტიურ სამყაროში, იხილეთ: H. P. L'Orange, *Studies on the Iconography of Cosmic Kingship in the Ancient World*. Oslo, 1953, 134—138; E. B. Smith, *The Dome*, Princeton, 1971, 68—70; Treitinger, *Ostrimische Reichsidee*, 56 f.; A. Alföldi, *Die Geschichte des Thron—Tabernakels*, *La Nouvelle Clio* 10 (1953) 537 ff.; Th. Klausner, *RAC* 3 (1953), s. v. Ciborium, 78; Thron Ciborium. ტაბრისათვის გაბეჭდილი მხვადა კონქით დასრულებული ნიშები ისლამურ არქიტექტურაში განხილულია რ. ვეისგაუზენის მიერ. იხ. R. Eitinghausen, *From Byzantium to Sassanian Iran and Islamic World*, Leiden, 1972, 33.

¹⁰³ მარჯვენა ფიგურა უფრო ვიწროა (0.02—0.03 მ).

დ(მრ)თ(ი)ს	(მონა)	წ(მილა)ანათ	მ(ე)ფც ჩ(უე)ნი
ნმო	დ(მრ)თისა	ლა	ბ(ა)გრ (ატ)ერის
ბელი	დ(ა)ვ(ი)თ შ(ა)გის	სმ	თავთა
	ტროსი შა(შენე)	კვ	ერისთა
	ბელი წ(მი)ლი	ნე	ვი-ბაშ(რ)ბ(ე)ლ
	სა აშის	ლი	იწ(მი)ლსა
	ს(ა)ყდრ		ამეს
	ისა		ქრისტიანული
	ა(დი)		ბრძანებითა
	დ(ე)		რის
	ნ		ქ(რისტ)ე
	დ(მერთმა)ნ		ა
	ა(ბუ)ნ		დ(ი)
			დ(ენ)
			ა(ნე)ნ

ამ წარწერებიდან¹⁰⁴ ჩანს, რომ მარცხენა მხარეს ჩვენ ვაკვებ დავით მაგისტროსას და მარჯვენა მხარეს — მისი ძმის ბავრატ ერისთავთერისთავის გამოსახულება. ორივე მმართველი წარმოდგენილია ტროსტალურად, მკერდამდე; ორივე წვეროსანია და არაჩვეულებრივად გვანან ერთმანეთს. მათი მარცხენა ხელი აწეულია მოკრძალების ნიშნად. ორივეს (მარჯვენა მხართან) კვერთხი უჭირავს, დაბოლოებული თანასწორმკლავებიანი, გაფართოებულბოლოებიანი¹⁰⁵ ჯვრებით¹⁰⁶ და ბუნიკით. თითოეულის მკლავის ქვეშით, ამ კვერთხ-

104 საქართა ადინიშნოს, რომ ამ წარწერების ფორმულა ემთხვევა იმ წარწერების ფორმულას, რომლებიც ატიტორების რელიეფების პირველ წევილს ააღიეს. იხილეთ გვ. 49.

105 ჯვრისანი კვერთხი საიმპერიო ინსიგნიაა, რომელიც მბრძანებელს უჭირავს მარჯვენა ხელში, როგორც მ-ის რწმენისა და ქრისტესადმი თავდადების ნიშანი. ეს ვულისხმობს მის დადგენილების მსოფლიოზე ქრიატეს სახელით. ჯვრის დაჯიბრებულ კვერთხი (ცელს რომის იმპერიის ემბლემას — არწივს) გამოჩნდა ადრეული V საუკუნის შემდეგ. მისი შიგალით შეგიძლიათ ნახოთ თეოდოსი II-ის ტერის ფულტე (420) (Reichwith, Art of Constantinople, 14, fig. 12; Delbrueck, Kaiserportrait, pl. 175; R. Delbrueck, Die Konsulardiptychen und verwandte Denkmäler, I, Berlin, 66, pl. 1.) და ლეო I-ის ნომენტაჟე (იხილეთ pl. 13); იხ. აგრეთვე Wessel, REK III, s. v. Insignien, pp. 389-402.

106 ჯვარს, ბოლოებში გაფართოებული მკლავებით. ამოხდა გამარჯვენა სამბოლორი მნიშვნელობა (G. Nussbaum, Das Brustkreuz des Bischofs Mainz, 1963, 7, 19 ff).



სურ. 3. ოშკი, დავით მაგისტროსის გამოსახულება, ვ. ჯობაძის რეკონსტრუქცია.

ჯვრის და მარცხენა ხელის მდებარეობის უახლოესი პარალელები გვხვდება კონსტანტინეს X საუკუნის სპილოს ძვლის ფირფიტაზე, ვაშინგტონის ლუმბარტონ ოქსის მუზეუმში¹⁰⁷ და კორტონას რელიეფარიუმზე¹⁰⁸ (963—969). რომელზეც, პტარია მედალიონში, იგავე იმპერატორია გამოსახული¹⁰⁹.

ორივე ქართველ მხრძანებელს აცვია საბულოებიანი კაბა, მოფენილი წრიული გეომეტრიული მოტივებით. დავითის კაბა მოჭიმულია წრეებით, რომლებიც აჩაჩოებენ როზეტის სახით გაერთიანებულ გულა ფორმის ოთხ ხვეულს. მისი გულისპირა შემკულობა, პტარია წრეებისაგან შენდვარი, სკოა უჯრების მსგავსი, საბულოთ; ბაგრატიის კაბა კი მოხატულია ექვსფერცლოვანი როზეტებით, მისი გულისპირი სამკუთხედებიანია.

მათ თავებს ზემოთ დასრუნილი ფრაგმენტები იმის მაუწყებელია, რომ თავდაპირველად მხრძანებლებს გვირგვინები ედგათ. დავითის გვირგვინის ნაწილი წარმოადგენს ასლს შიდავე გვირგვინისა (კტიტორების რელიეფების პირველ ჯგუფში, რომელიც ზემოთ აღწერეთ), ნაშინ როდესაც, ბაგრატიის გვირგვინს არასოდეს პტარია პენდილია. უნდა დავუმატიოთ, რომ კტიტორების მეორე ჯგუფში მართლად ბაგრატიის ნახსენებია მეფედ, ეს კი, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ კტიტორების მეორე ჯგუფი უფრო ადრეულია, ვიდრე პირველი, ე. ი. იმ დროს, როდესაც დავითი მხოლოდ მაგისტროს იყო და ბაგრატი ჯერ არ იყო დაფილფოვებული პატივით, რომელიც მას შემდეგ დაედა ეტარებინა პენდილია.

ეს დათარიღება რამდენადმე სადავოა, რადგან საქართველოში, ისევე როგორც ბიზანტიაში, ეკლესიის მშენებლობა აღმოსავლეთის მხრიდან მიწებოდა¹¹⁰, (უნდა აღვნიშნოთ, რომ რელიეფების ორივე ჯგუფი ერთი და იმავე სიმაღლეზეა — დაახლოებით 3 მ-ზე მიწის დონის ზემოთ). ეს კი უნდა გვთავაზობდეს საწინააღმდეგო ქრონოლოგიას კტიტორების რელიეფების ორივე ჯგუფისათვის.

მეორე ჯგუფის რელიეფების პროპორციულად აგებული ფიგურები ბუნებრივად არიან წარმოდგენილი. ორნამენტული სახეები მათ

¹⁰⁷ Weitzmann, Catalogue, no. 24.

¹⁰⁸ Talbot Rice, Art of Byzantium, 317.

¹⁰⁹ იქვე, pl. 121.

¹¹⁰ Bios of St. Martha, ed. Van den Ven, La Vie Ancienne de S. Symeon Stylite le Jeune, 11, Brussels, 1970, § 48, p. 289/4.

სამოსზე და მათი წვერის დარჩენილი ნაწილი თითქმის კალიგრაფი-
ული სიზუსტითაა შესრულებული. ჩანს, რომ მათი სახეები მკაფიოდ
უნდა ყოფილიყო დანაწევრებული და ზედმიწევნით დამუშავებული.
რელიეფი შედარებით მაღალია და ზედაპირი რბილად მოდელირებუ-
ლი, წარმოაჩენს რასხეულის კონტურებს. რადგან ჯერ კიდევ არაა აღმოჩენილი
მახასიათებელ ნიშნებსე მივუთითეთ პირველი ჯგუფის კტიტორების
მიმართ, შეიძლება დავასკვნათ, რომ რელიეფებს ორივე ჯგუფი გა-
მოკვეთილია ერთი და იმავე ოსტატის მიერ, რომელსაც შესაძლოა სამ-
წუხართდ არ არის მოხსენებული არც ისტორიულ წყაროებში და
არც თვით ეკლესიის მრავალრიცხოვან წარწერებში.

ამ რელიეფებსა შექმნის მიზეზის გასარკვევად მნიშვნელოვანია
აღინიშნოს, რომ თითოეული მონარქის გვერდით, ფონზე, წარწერი-
ლია წმინდანის სახელი: დავითის მარჯვენა მხარეს — ღვთის-
მშობლის, ბაგრატის მხარეს — წმინდა იოანე ნათლისმცემლის.
გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელები სახელობით
ბრუნვაშია მოცემული, ხოლო ვედრების ტექსტში, მოპირდაპირე მხა-
რეს, ორივე შემთხვევაში წოდებითი ბრუნვაა გამოყენებული. ამგვა-
რად, ჩვენ გვაქვს კტიტორების პირველი ჯგუფის კომპოზიციის ეკვი-
ვალენტა იმ ცვლილებებით, რომ პირველ შემთხვევაში ორივენი,
ღვთისმშობელიც და წმინდა იოანეც, წარმოდგენილი იყვნენ ხელშე-
სახეები ფორმით, მაშინ როდესაც აქ ისინი მხოლოდ სახელებით არიან
მოხსენებული. რადგან ნიშის ზედა ნაწილში, კონქის ბალდაქინის ქვე-
მოთ, მე აღმოვაჩინე ფრესკების ფრაგმენტი ტახტზე ჩადომარე ქრის-
ტეს გამოსახულებით, შეიძლება აქ გვექონოდა ვედრების შემოკლებუ-
ლი ვერსია¹¹¹.

შესაძლებელია, რომ ბურჯის ჩრდილოეთი და სამხრეთი მხა-
რეები, რომლებიც ახლა მთლიანადაა დაფარული ჯამეს კედლებით
და სქელი ფენითაა შეთეთრებული, შეიცავდა ღვთისმშობლისა და
წმინდა იოანეს ფიგურებს. ეს შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ
ბურჯის განთავისუფლების შემდეგ, როდესაც შესაძლებელი იქნება

¹¹¹ ვედრების იდეა იშკში ხაზგასმითაა წარმოსახული არა მარტო ეკლესიის
თანადროულ მრავალრიცხოვან წარწერებში, არამედ არქიტექტურულ სფეროებშიც.
მაგ., სამხრეთის მინაწერის რეაწახნაგა ბურჯზე, სადაც მესამე ვედრება,
არცა მდებარეობს, გრიგოლ იწყლის გამოსახულება, რომელსაც ე. თაყაიშვილი
მშენებლობის ზედამხედველთან აცხადებს (შეკვეთა, 51, таб. 72, 78); ახლეთ,
აგრეთვე, სულეთის სურათები უნივერსიტეტის, სპ. ცი. პი. 20, 21.

ენახით, არსებობს თუ არა ასეთი მხატვრობა და ქანდაკების თანამედროვეა იგი, თუ დიდი ხნის გავლის შემდეგ, 1035 წელს შეიქმნა, როდესაც ეკლესია საბოლოოდ მოიხატა¹¹².

შეიძლება დაისვას კითხვა, თუ რატომ გამოსახეს ოშკში კტიტორ-მონარქების ფიგურების ორი ჯგუფი, რომლებიც ორივე შემთხვევაში ვედრების ნაწილს შეადგენენ. შესაძლოა მონარქები გრძნობდნენ აუცილებლობას ხაზი ვაესვათ თავიანთი დიდი საქმიანობისათვის თავისი თავის ორჯერ ჩართვით უმაღლესი მხატვრობაში. მეორე მხრივ, მათ უნდა ჰქონოდათ სურვილი, ესაოთლებინათ თავი¹¹³, რადგან ძალა იხმარეს მამაზე (ადარნასეზე), რომელსაც ტახტის დაბრუნების იმედი გადაუწურეს და მან ცხოვრების დანარჩენი ნაწილი განმარტოებულმა გაატარა ოშკის მონასტერში, სადაც უნდილად მიიყვალა ბერის სამოსში¹¹⁴.

ყოველ შემთხვევაში აქ ზვენი საქმე გვაქვს საერთო მმართველობის განდიდებასთან (დაჩრდილეს რა ვედრების ჯგუფიც), რაც აღმოსავლეთქრისტიანული ხელოვნების ისტორიაში ამ ხარისხით არასოდეს გადმოცემულა ქანდაკებაში. როგორც ჩანს, ეს შეესაბამება მაკედონური რენესანსის პოლიტიკურ ტენდენციებს, როდესაც ძველი რომის იმპერიის იდეები ხელახლა იქნა რეალიზებული.

ეკლესიის და რელიგიუზიის დათარიღება

კტიტორთა რელიეფების ორივე ჯგუფი თვით ეკლესიის თანადროულთა მისი პირველი მკვლევარის, თაყაიშვილის, მიხედვით იგი აგებულია 958—961 წლებში¹¹⁵.

ეს დათარიღება არსებითად დაფუძნებულია ეკლესიაში ნაპოვნ წარწერებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის სამხრეთი პორტიკის ტიმპანზეა მოთავსებული¹¹⁶.

წარწერის სტრიქონებში ვკითხულობთ:

¹¹² Такайшвили, Экспедиция, 34.

¹¹³ ასეთივე შთაბეჭდილება იქმნება ეკლესიის კედლებზე აღმოჩენილი მრავალი თანადროული წარწერით (Такайшвили, Экспедиция, 46—57).

¹¹⁴ ქართლს ცხოვრება, გამოც. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, (1955), 381/16.—21.

¹¹⁵ Такайшвили, Экспедиция, 60.

¹¹⁶ ეს წარწერა განთავსებულია ბროსეტის (იხ.: Brosset, Inscriptions Géorgiennes) და ბოლო დროს ექ. თაყაიშვილმა, იხ. მისი, 1917 წლის არქ. ესპედიცია, თბილისი, 1960, 46—48.

4. წმიდათა სადიდებულად და საქებულად იწყეს ღმრთივ გუირო-
გუინოსანთა მეფეთა ჩუენთა წენებად ამის წმიდისა საყდრისა, რადთა
ამას შინა აღესრულებოდინ დღესა

5. სწაულნი...

6.

და ღმერთისა შეწყვიტნ ორთავე

7. ცხოვრებათა ძეთა ღმრთივ კუთრთხეულისა აღარნესე კურაბა-
ლატისათა, ბაგრატ ერისთავთერისთავსა, დავით მარტვილელსა, სამცხ-
ზემან წმიდამან

ბიზანტიისა

8. სამნავე დაიფარენ მარჯუენითა ოვისთა და აღიდუნ ორთავე
ცხოვრებათა...¹¹⁷.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თაყაიშვილი სწორად ვარაუდობს, რომ
ისტორიული პირობები არიან აღარნასე III (შვილი ბაგრატ მაგისტრო-
სისა) და მისი ორი ვაჟი: ბაგრატ ერისთავთერისთავი და დავით მა-
გისტროსი, ე. თაყაიშვილის აზრით, აღარნასე III მოიხსენიება ბიზან-
ტური ტიტულით. რომელიც მან მიიღო 958 წელს. იმ დროს,
როდესაც წარწერა შესრულდა, იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ეკლეს-
იის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო 958 წელს და დასრულებუ-
ლიყო 961 წელს, აღარნასეს სიკვდილის წინ¹¹⁸. თაყაიშვილის დასკვნა
აშკარად მცდარია, რაც ცხადია იმავე წარწერის მეოთხე სტრიქონი-
დან, რომელიც ნათლად გვაჩვენებს: ჩვენმა ღვთივ კუთრთხეულმა
მეფეებმა (დავითმა და ბაგრატმა) დაიწყეს ამ წმინდა ეკლესიის მშე-
ნებლობა. ეს შეესება მშენებლობის აღრეულ ეტაპს და არა მისი დას-
რულების თარიღს¹¹⁹. ამავე დროს, იმავე წარწერის მე-9 და მე-12
სტრიქონები ვაძიოსცემენ მშენებლობის აღრეულ ხარჯებს და არა
საბოლოო დირუბულებას, ვირდა ამისა, წარმოუდგენელია, რომ ასეთი
უზარმაზარი¹²⁰ და რთული აღნაგობის ეკლესია სამ წელიწადში¹²¹
აეშენებინათ. მისი არქიტექტურული ფორმების და საუცხოო ქანდა-
კებების მხოლოდ ზერეულ დათვალიერებაც კი გვარწმუნებს, რომ

¹¹⁷ იქვე: 88-47.

¹¹⁸ Таквишвили, Экспедиция, 61.

¹¹⁹ ამ წარწერას ჩვენი გამოკვლევა არ ადასტურებს თაყაიშვილის დასკვნებს
(იქვე: კვ. 61), რადგანაც წარწერის ნაწილი, რომელიც შეიცავს მშენობის დასრუ-
ლების თარიღს, შეპღვომ პერიოდში განადგურდა.

¹²⁰ სიგრძე (აბრეჟის ვარეშე) — 38.50 მ, მანს. სიგანე — 26.00 მ, სიმაღლე
დაახლ. — 33 მ.

¹²¹ ამას აღნიშნავს თვითონ თაყაიშვილი, რომელიც შეცვლილ თარიღს —
950—961—გვითავიხობდა (Экспедиция, 61).

ოწკი არა მარტო უფრო გვიან აწუნდა, ვიდრე ამას თაყაიშვილი თვლიდა¹²², არამედ მშენებლობაც უფრო დიდ ხანს გრძელდებოდა¹²³, რასაც ადასტურებს უცნობი ქართული წარწერა, რომელსაც 1973 წელს მივაკვლიე.

ეს წარწერა შესრულებულია ქვიშაქვის თლილ ფიფქსა, რომელიც ჩადგმულია ჯამეს ეკლესიაში სამხრეთ-აღმოსავლური შერჯის სამხრეთი მხარეს (მაქს. სიმაღლე — 1,27 მ, სიგანე — 0,6 მ). ოწკის ყველა წარწერის მსგავსად იგი შესრულებულია მხოლოდ ერთი (მრგვლოვანი) დამწერლობით, სწორი შუაღედებით განლაგებული ბწკარებით. ასოების ზომა უმნიშვნელოდ იცვლება (სიმაღლე — 0,005 მ, სიგანე — 0,023 მ, სივრცე ბაზებს შორის არის 0,02 მ სიგანის). სვეტი დატოფილია შტრიხებით, რომლებიც წინადადების დასასრულს აღნიშნავენ. თქ სულ 12 ბწკარია, რომლიდანაც 9-ის ამოკითხვა შეიძლება დაწამდვილებით, სანი მწკრივიდან კი შემორჩენილია მხოლოდ ერთი ფრაგმენტები. ქვემოთ მოცემულია წარწერის წაკითხვა თანამედროვე მხედრული დამწერლობით.

+ დავიწყეთ ეკლესიათა ქრო
ნიკონისა: — რპე¹²⁴: — მარტა: კ(ე)¹²⁵.
დღესა ხარებისა: — აღესროვ
ლა ბაგრატ ერისთავთა ერ
ისთავი: ეკლესიისა (sic) ამის მა
წუნებელი: — ქრონიკ(ო)ნსა რპე.¹²⁷

122 ოწკის სრული შესწავლა მოცემული იქნება მონთგრაფიაში (ნასში განხილულია ტაო-კლარჯეთის X—XI საუკუნეების ეკლესიები), რომელსაც ახლი ვამზადებთ გამოსაცემად.

123 ასრ. რომ ოწკის ეკლესია აგებულია 958—961 წწ. უფრო გვიან და რომ მშენებლობა უფრო დადგნს გაგრძელდა, მე გამოვთქვი 1968 წელს (Or. Chr., 52, 1968, 19 i.).

124 ამ ბლოკის წარმოშობა ვერ შევძელი დანედგინა. შეიძლება იგი წამოღებულია ეკლესიის ნაროეჭხადან, რომელიც ძლიერ დაზარებულია და რომელიც მრავალ წარწერაზე ქვა შეიცავდა. რაძენიზე ნათვანს ისეთივე ფორმა აქვს, როგორიც ამ ბლოკს.

125 ქართული საიდუმლოთა ნოტიცეა შოთყვეს 532 წელს. მე-12 მოქცევა (ბიულსსებზე ქვეყნის შექმნის დღიდან) — წყება 780 წელს, მე-7 მოქცევა 1212. და * მ. ანგვარიდ ქრონიკონი (მარტო წლები, მოცემული მოქცევის შიგნით) 153 უდრის (780+153)=963.

126 კე-ა რიცხვითი მნიშვნელობა — 25.

127 რპე — 156. მაწასადამე 780+186=966.

ოკდ(ო)ნბერსა: ბ¹²⁸ — დღესა: ს(ამ)

თშ(ა)ბ(ა)თსა: დიდებ(უ)ლმცა არს

ს(უ)ლი მ(ა)თი და აღიდენ ლ(მერთმა)ნ ლ(ავი)თ

(. . .) მ(ა)ნ მ(ა)თიან (. . .)

(. . .) ზე დავ (. . .)

(. . .) თსა (. . .)

შენიშვნები, რომლებიც უნდა გაკეთდეს ამ წარწერის შესახებ:

I ბწყარი — წარწერა იწყება წილქანით, ბერძნულად *ΕΠΙΣΤΟΛΗ*-ის

ადაპტაციით, რომელსაც ხმარობენ ხელნაწერებში და ეპიგრაფიკულ ძეგლებში IX საუკუნიდან¹²⁹.

II ბწყარი — ქრონიკონის მეორე ასო დაზიანებულია მაღლა, მარჯვენა მხარეს, მაგრამ ნათლად ჩანს მარცხენა მხარეს. ზემოთ დარჩენილი ნაწილი გვიჩვენებს, რომ ეს არის პ. ქრონიკონის შემდეგი და ბოლო ასო გ საკმაოდ გაცვეთილია, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება მისი გარჩევა.

III ბწყარი — ბოლო სიტყვაში ასო უ, გადმოცემულია ოკ-თი.

VI ბწყარი — სააღდგომო ციკლის აღმნიშვნელი ბოლო ორი ასო, რომელიც ქრონიკონს მოსდევს, თითქმის წაშლილია, თუმცა პირველი ორი ასო შეიძლება გავაიგივოთ ასოებთან რ, ბ. შემდეგი ბოლო ასო უნდა იყოს ი ან ვ. ბოლო ასო უფრო დამიჯერებელია და თან ბაგრატიის სიკვდილის თარიღს ემთხვევა, როგორც ეს ისტორიულ წყაროებშია ნაჩვენები.

VII ბწყარი — ბოლო სამი ასოდან ბწყარის ბოლოში პირველი აღდგები როგორც ს (დამარჩენი ორი ასო არ იშეფრება). რადვანაც გამორიცხებულია შესაძლებლობა, რომ ეს სამი ასო ზემდეგი ხაზის ასოებთან არ ერთიანდებოდეს, ამიტომ უნდა იკითხებოდეს სიტყვა „სამ-შაბათსა“ (ეს არის ერთადერთი დღე კვირაში, რომელიც ქართულში ს-თი იწყება). ჩემი გამოთვლების მიხედვით, 966 წელს ორი ოქტომბერი ზუთშაბათი იყო; რადგან ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ შაბათს წინ ასო თ იტყვს, თუ ეს არ არის დამწერის შეცდომა, შეიძლება მივიღოთ შეცვლილი წაკითხვა — „ზუთშაბათსა“.

წარწეროდან ჩვენ ვიგებთ ორ ფაქტს: პირველი, რომ ბაგრატი (ერისთავთერისთავი) გარდაიცვალა 966 წლის 2 ოქტომბერს — სამ-

¹²⁸ ნ-2.

¹²⁹ იხილეთ: ლ. ქაჯაია, ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში, პალეოგრაფიული ძიებანი II, თბილისი, 1969, 103—107.

შაბათს, ან ხუთშაბათს. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 963 წლის 25 მარტს ხარების დღესასწაულზე.

მე ვერ შევძელი ლიტერატურულ წყაროებში ეკლესიის დასრულების თარიღიათვის მიმეკვლია. 1917 წელს ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს თაყაიშვილმა გათხარა ქვიშაქვის რელიეფი, თანამედროვე წარწერით ფიგურის ორსავე მხარეს, რომელსაც იგი ოშკის ეკლესიის მშენებელთან აიგივებდა. წარწერაში კითხულობთ: **ქვიშაქვი** **ბიზანტი** **მშენებელი** **წლის განმავლობაში**¹³⁰.

ჩვენი მიზანი არ არის აქ ვიმსჯელოთ თაყაიშვილის მიერ ფიგურის განსაზღვრაზე, რომელიც ფრაზანია და ამჟამად წარმოადგენს ანგელოზს და არა ხუროთმოძღვარს¹³¹. მიუხედავად ამისა, თუ თაყაიშვილისეული წიკითხვა სწორია, ეს ეოდევ დამატებით განსაზღვრავს ჩვენს წინადადებას, რომ ეკლესია შენდებოდა იგი წლის მანძილზე (963-დან 973-მდე).

ლიტერატურული წყაროები და ოშკის ეკლესიაში აღმოჩენილი წარწერები ადასტურებს ჩვენს დათარიღებას. მაგალითად, უკანასკნელი დოკუმენტი, რომელიც დავითს იხსენიებს როგორც მაგისტრ-

¹³⁰ ციტ. ნაშრ., გვ. 36, 37, ტაბ. 55 (და არა 57, როგორც ეს თაყაიშვილს აქვს).

¹³¹ მე არ მქონდა შესაძლებლობა შემესწავლა ეს ქანდაკება, რომელიც, ჩანს, დიდი ხნის წინ გაქრალა, მაგრამ თაყაიშვილის ფოტოსურათი (ტაბ. 55) ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი წარმოადგენდა ანგელოზს, რომლის ორივე ფრთა კარგად ჩანს. ამასთანავე, ფიგურის კაბია მარჯვენა მხარე მოზოთულია მხარზე ჩამოშვებული ზოლით, მაშინ როდესაც მარცხენა მხარე სადაა. იგივე ზუსტად შეორდება მთაყარანგელოზ გაბრიელის რელიეფზე იმავე ეკლესიის სამხრეთი მკლავის ფაადზე (Winfield, Early Medieval Figure Sculpture, pl. 8 b). ეს ხედიანი შეაჩნია ჩებინაშვილმა. მაგრამ არ განუხილავს. (იხ. Arts. Georgian 5, 1959, 258). ვინაიდან რა იდენტიფიკაციის საკითხს, უნდა გვახსოვდეს, რომ ანგელოზის ყველა ქანდაკება ოშკში მაღალ ადგილზეა მოთავსებული — უნდა აღვნიშნავთ ლავარდას ქვეშ ან ფრონტონებში. მათი განლაგების ამგვარი ნიმუში არაა სიმიფდო საბუთი იმისა, რომ აღმოსავლეთი ფრონტონის თეიანუღალი არც დაკავებული იქნებოდა ანგელოზის რელიეფით, რომელსაც ფრონტზე ვერტიკალურად მოთავსებულ კტიტორული წარწერა მქონდა. ეს, რა თქმა უნდა, არ არის არჩევულებრივი მოვლენა. მაგალითად, დოდისყანის ეკლესიის სამხრეთ მკლავზე არა ანგელოზიდან ერთ-ერთს ვედრების წარწერა აქვს ფრთებზე, ხელოსნის, ან არქიტექტორის მიერ შესრულებული. აგრეთვე უნდა გავიხსენოთ, რომ კტიტორთა გამოთახულებამა და წარწერები ქართულ არქიტექტურაში აღრებიზანტიურ პერიოდში წარმოადგენილია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, როგორც მაგალითად, მცხეთის ჭერის ტიპარზე.

როსს, 973 წლით დათარიღებული სახარების ანდერძია. იგი გადაწერილია შატბერდში და იოანე ბერაძს მიერ შეწირულია პარხლის მონასტრისადმი¹³². მეორე მხრივ, ყველაზე ადრეული მოხსენიება დავითისა, როგორც კურაპალატისა, თვითონ ოშკში, 977 წელს გადაწერილ სახარების ანდერძში გვხვდება; ამყამად იგი აიონის ივერთა მონასტერში ინახება¹³³. ეს ანდერძები ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დავითი კურაპალატის ტიტულით დაჯილდოვდა დაახლოებით 973 და 977 წლებს შორის. ამავე დროს თვითონვე ყველა თანადროული წარწერა მიმართავს მას როგორც მონასტრის ტიტულის მატარებელს. მაშასადამე ოშკის ეკლესიის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 977 წელზე უფრო ადრე, ალბათ, 973 და 977 წლებს შორის. ჩემი დასკვნების შესამოწმებლად ცხოველების გამოსახულებანი ეკლესიის ქვედა ნაწილიდან (მაგ., მკლავის სარკმლის ჩარჩოზე) შევადარე ცხოველების რელიეფებს გუმბათის ლავგარდანზე¹³⁴. შედარებამ გვიჩვენა ზუსტი იგივეობა ცხოველების რელიეფებს შორის არა მარტო სტილისა და ფორმის თვალსაზრისით, არამედ ხეულებში ჩაწერილი თავების ინდივიდუალური და უჩვეულო ნაკვთების მხრივაც. ამას მივყავართ დასკვნამდე, რომ რელიეფები ერთი ოსტატის მიერაა დროის მოკლე შუალედში ამოჭრილი.

ასეთ დასკვნას მთლიანად ეთანხმება ოშკის ძირითადი რელიეფების ერთნაირი სტილისტური ნიშნები, რომლებიც მსგავსებას ამჟღავნებენ არა მარტო მაღალი მხატვრული და ტექნიკური ოსტატობის მხრივ (რომლის აღმატებული არაფერი შექმნილა ქართულ ფიგურულ ხელოვნებაში), არამედ ატარებენ მაკედონური რენესანსის არსებით ნიშნებსაც, კერძოდ იმ ხანისა, ვიდრე დაიწყებოდა კლასიკური აღორძინების თამამი მონაპოვრების დაქვეითება. რაც შეეხება დათარიღების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთი მკლავის წარწერებში აღარნახე მოხსენიებულია როგორც ჩვენი კტი-

132 თბილეთის მონასტერი ოშკის მახლობლად მდებარეობს. ანდერძის შესახებ იხილეთ: Такашвили. МАК, XII. 138—191.

133 Blake, Catalogue des Manuscrits Géorgiens, Rev. Or. Cairel. 28, (1931—1932), 49—50 (337—338).

134 ამ მხრივ ყველაზე უფრო ეპრიანია სამხრეთი ფსადის სარკმლის ორნამენტული სათაურის გადანაკვეთებზე გამოახული ორი ცხოველის თავის მსგავსება ასეთივე ცხოველების თავებთან (მცენარულ ელორტში) გუმბათის ლავგარდანზე, რაც უმძველად აღმატებებს, რომ ისინი შესრულებულია ერთი და იმავე ხელით.

ტორების მამა, მაგრამ არა როგორც კტიტორი. ამგვარად, სრულიად ბუნებრივია მივიღოთ, რომ ოშკის ეკლესიის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო ადარნასეს სიკვდილის — 961 წლის — შემდეგ, თუ იგი ნამდვილად ამ დროისათვის გარდაიცვალა.

დონატორების რელიეფების და ოშკის ახლად აღმოჩენილი წარწერის საფუძველზე, ეკლესიის მშენებლობის დაწყების თარიღად შეგვიძლია მივიჩნიოთ 963 წელი. მისი აგება ათი წლის განმავლობაში უნდა დამთავრებულიყო.

ოშკის არქიტექტურული ქანდაკების სტილისტური ნახატი, რომელსაც შეუძლია ეკლესიის დათარიღებისათვის დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდოს, ცილდება ამ ნაშრომის ფარგლებს. მშენებლობის დამთავრების თარიღის განსაზღვრისათვის უნდა განვიხილოთ ტაო-კლარჯეთის X და XI საუკუნეების ეკლესიები.

დანართი: ნოვატი

ამ კტიტორული რელიეფების საკულტო დიდების გაბედული ხაზგასმა მათ განლაგებაშია ასახული. ისინი შეიძლება მოვაქციოთ თავისუფლად მდგომი დასავლეთი ბურჯების აღმოსავლეთ მხარეს გაჭრილი ორი ნიშის ფუნქციის განხილვის ცენტრში. ერთი ასეთი ნიშა ცნობილი იყო თაყაიშვილისათვის, რომელსაც იგი ეპისკოპოსის დასაჯდომთან აიგივებდა. ბურჯის ნიშები X საუკუნემდე უცნობია ქართულ არქიტექტურაში, მაგრამ არ წარმოადგენს იზოლირებულ ფენომენს. ასეთივე ნიშები გვხვდება ამავე რაიონის (ტაო) სხვა ეკლესიებშიც, რომელთაგან ორი (ხახულის ღვთისმშობლის ეკლესია¹³⁵ და პარხლის ბაზილიკა¹³⁶) აშენებულია ოშკის კტიტორის — დავითის — მიერ, სანამ ის კურაპალატის პატივს მიიღებდა, ხოლო ცოტა მოგვიანებით — იშხნის კათედრალი¹³⁷. ყველა ამ ეკლესიაში ნიშები, ისევე როგორც ოშკში, ორივე დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ მხარესაა მოთავსებული. ნიშები მორთულია სხვადასხვა ფორმის ერთი და იმავე ზომის ჩარჩოებით, ხოლო ერთ-ერთ მათგანში — პარხლისაში — ოშკის მსგავსად, კონქის ქვეშ რელიეფია მოთავსე-

¹³⁵ Такайшвили, Экспедиция. 69, таб. 85, 94, 95. ეს ნიშები თაყაიშვილის მიერ გაიგივებულია (იქვე, 69) ეპისკოპოსის დასაჯდომთან.

¹³⁶ იქვე, 95, ტაბ. 147, 2.

¹³⁷ იქვე, 26, ტაბ. 22, 24.

ბული. თაყაიშვილის მიერ შემოთავაზებული მოსაზრება, ამ ნიშნის გაიგივებდა ეპისკოპოსოს დასაჯლომთან, არ შეესაბამება ქართულ ლიტურგიულ ტრადიციას. ამ ტრადიციის მიხედვით ეპისკოპოსოს ტახტი მოთავსებულია აფსიდის კედელთან. მართლაც, ხახულისა¹³⁸, და პარხლას¹³⁹ ბურჯების ნიშნების მსგავსი ნიშნები შემონახულია აფსიდაში; შემორჩენილია აგრეთვე ეპისკოპოსოს ან პრესბიტერის ტახტის ნაშთიც.

მართლაც, ბურჯის ნიშნები ოშკში (და შემოსილ ვკლესიებში) ვერ მოემსახურებოდა ეპისკოპოსოს საეპოფელად, ნითუმეტეს, რომ ყველა შემთხვევაში ჩვენ გვაქვს არა ერთი, არამედ ორი ნიშა, რომლებიც განსხვავებული მიზნით იყო გამოყენებული. ამ კითხვაზე პასუხს გაეცემს ე. წ. *βασίλειον, κτήριον*, განკუთვნილი მმართველების კულტისა და დიდებისათვის¹⁴⁰; ეს არის სატახტო ნიშნები, რომლებიც საერო მიზნებს ემსახურებოდა; ტახტზე მჯდარი ან ფეხზე მდგომი მონარქი ადგილს იკავებდა ნიშაში, რადიკალურად განლაგებული სხივებით დამუშავებული ნაოჭებიანი ნივარის ქვეშით. ასეთი ნიშნები გამოხატულია ადრექრისტიანულ დიპტიქონებზე (მაგალითად, დიპტიქონები ფლორენციაში (ბარჯელო)¹⁴¹, ვენაში¹⁴², და პარიზში¹⁴³), აგრეთვე თეოდორას მოზაიკაზე სან ვიტალეს ეკლესიის პრესბიტერიუმში, რავენაში¹⁴⁴.

¹³⁸ იქვე, 69, ტაბ. 95. ამ ნიშა კონქში შემორჩენილია რელიეფი მტრის გამოსაბეღებოდ და ეპისკოპოსოს ტახტის ნაშთი.

¹³⁹ იქვე, 4, ტაბ. 145.

¹⁴⁰ A. Alföldi, *Insignien und Tracht der Römischen Kaiser*, *Röm. Mitt.* 50, (1935), 133 ff.; F. W. Deichmann, *Contributi all'iconografia e al significato storico dei mosaici imperiali in S. Vitale, Felix Ravenna*, 60, (1952), 9.

¹⁴¹ სატახტო ნიშნები იქვე აღმოაჩინდა ნიშნულად H. F. Orange, *Studies on the Iconography of Cosmic Kingship in the Ancient World*, Oslo, 1953, 134 f.; W. F. Volbach, *Elfenbeinarbeiten der Spätantike und des Frühen Mittelalters*, Mainz, 1952, 38, no. 51.

¹⁴² Volbach, *Elfenbeinarbeiten*, no. 52.

¹⁴³ იქვე, no. 40, no. 58.

¹⁴⁴ F. W. Deichmann, *op. cit.*, 9; A. Alföldi, *op. cit.*, 6; აგრეთვე ვ. გორგის ეკლესიის მოზაიკა თესლონიკში; W. F. Volbach, *Early Christian Art*, New York, 1961, pl. 125.

ნიქარისტურკონქიანი ნიშების რამდენიმე მაგალითი შევიძლიათ ნახოთ დასურათებულ ქართულ კოდექსებში, რომლებიც შეიქმნა ოშკის მუხობელ მონასტრებში, როგორცაა ბერთის¹⁴⁵ სახარება (938 წლამდე), ჯრუჭის სახარება (940), რომელიც გადაწერილია შატბურდის მონასტერში. ასეთ ნიშებში ფეხზე მდგომი მხარებლები არიან წარმოდგენილი¹⁴⁶, მაშინ როდესაც ჯრუჭის მხარებლებში წარმოდგენილ ნიშაში ზის დიდებული (პეროფეც) ნიშნები.

საქართველოს ისლამურ ქვეყნებთან ახლო ურთიერთობების დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სატახტო ნიშები საერო მიზნებისათვის იყო გამოყენებული ისლამურ არქიტექტურაში ომიადების პერიოდში, რასაც ადასტურებს დასავლეთი ნინაშენი („Bathall“) ხირბეტ ალ მაფეარში¹⁴⁷ და დამასკოს დიდი მეჩეთის კამარის მოზაიკა¹⁴⁸. მათ შესავსად ოშკის ზემოაღნიშნული ნიშებიც (ასევე იახულის, პარხლის და იშხნისა) განკუთვნილი იყო ტაო-კლარჯეთის მმართველებისა — დავით მაგისტროსისა და მისი ძმის ბავრატ ერისთავთერისთავისათვის.

¹⁴⁵ R. P. Blake, *Sirapic der Nersessian*, *The ossels of Bertal: An Old Georgian Mn. of X cent., Byzantion* 16, 1942—1943, fig. 10, 13.

¹⁴⁶ Ш. Амиранияшвили, *Грузинская миниатюра*, Москва, 1966, 15, таб. 16.

¹⁴⁷ იქვე, ტაბ. 48.

¹⁴⁸ R. Ellinghausen, *From Byzantium to Sassanian Iran and the Islamic World*, Leiden, 1972, 33.

¹⁴⁹ R. Ellinghausen, *Arab Painting*, Lausanne, 1962, 24 and fig. on p. 27.



ვედრების თემათა და მისი არსით განახლებული დანტერესება გვაფიქრებინებს, რომ „შეუძლებელია ბეჟიცი-ის ზუსტი, ერთ-მნიშვნელოვანი განსაზღვრა“¹. ამ ქოსაზრებას განამტკიცებს კტიტორული ვედრების თემის ოთხი ნაკლებად ცნობილი ვარიანტი, რომლებიც შემოგვინახა ოშკის ქართულმა ტაძარმა ტაოს ისტორიულ პროვინციაში (ამჟამად ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში). ტაძარი აგებულია 963—973 წლებში ადგილობრივი მმართველობის, ერისთავთერისთავის ბაგრატიისა და მისი ძმის, დავით მაგისტროსის (შემდგომ კურაპალატი) მიერ. ორივე კარგადაა ცნობილი როგორც ქართული, ასევე ბიზანტიური და სომხური წყაროებით.

ოშკის ვედრების კომპოზიციებში ყურადღებას იქცევს ადრეული თარიღი, ზუსტად განსაზღვრული შესრულების დრო, სტრუქტურულ-აკონოგრაფიული ვარიანტები და მათი თანხმლები წარწერების შინაარსი, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ვედრებაში ჩაქსოვილი აზრის შესახებ. ამ ex voto კომპოზიციებიდან სამი კირქვის პორელიეფი თანადროულაა ტაძრის აგებისა (963—973 წწ.), ხოლო მეოთხე წარმოადგენს კედლის მხატვრობას, რომელსაც ზუსტად ათარიღებენ 1036 წლით.

პირველი ვედრება მოთავსებულია ტაძრის მდიდრულად შემკული ექსტერიერის სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, აქ გამოსახულია „ნორმალური“, ჩამოყალიბებული ვედრება: მაცხოვარი დგას ფეხსადგამზე, ფრონტალურ პოზიაში, შეაწეული მაკურობებელი

* ეს მოხსენება წარდგენილი იყო ბიზანტინოლოგთა XVII საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც 1986 წ. ჩატარდა ლუმბარტონ ოქსში, ვაშინგტონში, მაგრამ არ იქნა წავითხული ავტორის ავადმყოფობის გამო.

¹ Ch. Walter, Two notes on Deesis. REB, 26, 1968, 324; A. Cutler, Typical Trimorphon or Deviant Deesis? A problem of Middle Byzantine Art and Literature. Ninth Annual of Byzantine Studies Conference, Abstract of Papers, November 4—6, 1983, 21.

მარჯვენით. ღვთისმშობელი (ეს რელიეფი ამჟამად ჩამოვარდნილია თავისი თავდაპირველი ადგილიდან) გამოსახულია ქრისტეს მარჯვნივ და წინამორბედი — მარცხნივ, ორივე — მაცხოვრისაკენ ვედრების ნიშნად გაწვდილი ხელებით. მათ გვერდით წარმოდგენილი არიან ბაგრატი ერისთავთერისთავი და დავით მაგისტროსი, გვირგვინოსანი დამკვეთები. სამეფო სამოსელში, ოშკის ტაძრის მოდელით ხელში, ორივე მმართველის და ღვთისმშობლის პორელიეფები, საკმაოდ კარგადაა შემონახული, მაშინ როდესაც, ქრისტესა და მაცხოვრის გამოსახულებანი დაზიანებულია. ამ ჩარჩოში ჩასმული კომპოზიციის მთელი ფონი თავდაპირველად დაფარული იყო მეწამული საღებავით. ასევე სუფთა კონტრასტული ფერებით ფნდა ყოფილიყო შეფერილი ფიგურებიც. ღია ცისფრისა და ვარდისფრის ნაკვალავი შემორჩენილია მარიამის მადორიუმზე, ხოლო მის ფეხსაღამზე ჩანს თეთრი და ოქროსფერი საღებავი. ოქრო გამოყენებულია დავით მაგისტროსის მოსახსენებზეც, რომელიც მორთული იყო წრეების მოტივით, მასში ჩაბატული არწივებით, ნისკარტზე დაკიდებული გულის ფორმით ე. წ. „სამეფო სამკაულით“. ფიგურები გადმოცემულია მაღალი რელიეფით, ნატურალური მასშტაბით. შთაბეჭდილება გაძლიერებული იყო ფერების გამოყენებით, რაც თითქმის მაგიურ ზემოქმედებას ახდენდა მნახველზე.

სცენა განსხვავდება ვედრების ჩვენთვის ცნობილი ყველა გამოსახულებისაგან თავისი ბუნებრივი ზომებით (სიმაღლე — 1,46 მ, სიგანე — 0,70 მ). თვით კტიტორი-მეფეები, როგორც ხსნის მახიებელი მოკრძალებული მავედრებელები ისე კი არ არიან გამოსახული, არამედ დგანან წელგამართული, იმავე ზომისა არიან, როგორც თავად ვედრების ფიგურები. ორივე მეფის — დავითის (გამოსახულია ღვთისმშობლის მარჯვნივ), ბაგრატის (წმ. იოანე ნათლისმცემლის მარცხნივ) — ზემოთ მოთავსებულ მოკლე წარწერებში სახელით არ არის მახსენიებული ის, ვისაც მიმართავენ თხოვნით. შესთხოვენ კი დიდებასა და ხსნას ორთავე ცხოვრებაში², რითაც გამოვლენებულია ვედრების ესქატოლოგიური მნიშვნელობა³. უფრო პირდაპირაა გადმოცემული თხოვნა ზუსტად ვედრების ზემოთ მოთავსე-

² ამ წარწერის შესახებ იხ.: W. Djobadze, The Donor Reliefs and the Date of the Caur h al Oski. Byz., 69, 1976, 43.

³ Th. von Bogay, Deēsis and Eschatologie. Byzantinische Forschungen, Internationale Zeitschrift für Byzantinistic, 11, 1967, 63 f., 71 f.

ბულ. წარწერაში. ამ ექვსსტრიქონიან წარწერაში მეფეები შესთხოვენ
ლეთისმშობელს და წინამორბედს დიდებასა და წარმატებას:

1. წმიდაო ღმრთისმშობელო და წმიდაო ნათლისმცემელო, აღი-
დენ მეფენი ჩუენნი,
2. გლახენი შეენნი, მაშენებლნი ამის წმიდისა (ქვეყნისანი)
3. და კუალად წარუმაართენ
4. მეფეთა ჩუენთა ბაგრატ (ს და)
5. დავითს¹.



უარკუნულნი
ბიზლიქთუქს

აღსანიშნავია, რომ ტერმინი ვედრება არ ჩანს ამ წარწერაში.
ვედრების რელიეფები საყურადღებოა სხვაგვარი (ე.წ. ქვანუ, რო-
მელზედაც ქრისტეა გამოსახული, ქვემოთ, მარჯვენა ანუ დასავლეთ
კუთხეში გადარჩენილია ვერტიკალურად განლაგებული ორი მრგვ-
ლოვანი ასო: **ΩΣ**, ნაშთი ვადარდებული წარწერისა, რომელიც ერთ
დროს ქრისტეს მარჯვნივ ვერტიკალურ სვეტად უნდა ყოფილიყო
განლაგებული. თუ არა ვცდები, ეს ორი ასო უნდა ყოფილიყო სი-
ტყვის ბოლოსართი და არა წარწერის დასასრული, რაც იმაზე
უნდა მიუთითებდეს, რომ თავდაპირველად წარწერა ორ სვეტად
მაინც უნდა ყოფილიყო ამოკვეთილი. წარწერა ვერტიკალურ-
რი წყობა ომში სტრუქტურითაც არ არის მოთულოდნული. ვცნობ
შესაბეჭდვლად კლარჯეთში ამგვარად შესრულებული წარწერის ორი მა-
გალითა გვაქვს: ოპიანის კტიტორის რელიეფზე და დოლისიანის
სამხრეთ დასადსე. რატორც საქართველოში, ისე ბიზანტიაში (გან-
საკუთრებით მაკედონელების ხანაში) ამგვარად შესრულებულ წარ-
წერებს ვხდებით ხელოვნების თითქმის ყველა დარგში და მათი აქ
ნიშნითა შორს წაგვაყვანდა: ვატყვი მხოლოდ, რომ ფორმალურად
და პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც ომკის წარწერასთან ახლოს
დღეს მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში დაცული სპილოს ძვლის
რელიეფი, რომელიც კონსტანტინე VII პორფიროგენეტის ქრისტეს
მიერ ხელდასახმას გამოსახავს და 945 წლით თარიღდება².

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიცით თუ რა შინაარსისა იყო ომკში
ქრისტეს მარჯვნივ ამოკვეთილი წარწერა, მაგრამ ამ წარწერის ხე-
მოხსენებელი ორად ორი ასო მრავალმხრივ არის საგულისხმო. ეს

¹ ეს წარწერა, ამჟამად საკმაოდ დაზიანებული, 1917 წელს წაიკითხა ექვთიმე
თაყაიშვილმა. იმ. ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური გათხრების
სამხრეთ საქართველოში, თბილისი, 1922, გვ. 52, 53.

² D. Talbot Rice, Kunst aus Byzanz, 1959, Taf. 96.

ასოები იმავე სიფაქიანით, სიზუსტითა და მაღალი ოსტატობით არის ამოკვეთილი, როგორც თავთ ვედრების და მისი თანმხლები კტიტორების რელიეფები, რაც ადასტურებს, რომ წარწერა რელიეფების თანადროულია და ქართველი ოსტატის მიერ არის შესრულებული. თრივე ასო ამოკვეთილია სრულქმნილი „ტყუბწვეტოვან“ ანუ „კიდურწაისრული“ მანერით, რაც XI საუკუნის ფუნდამენტის მიხედვითა და განკითხვების უმაღლეს საფეხურს საშთავესში ჭლარიონ სამთავნელს წარწერებში პოულობს⁶. ეს ფაქტი მარტოვე უწინააღმდეგება ოსტატის „კიდურწაისრული“ ასოების კლასიფიკაციას და მათ თანადროულობას კვდრების რელიეფთან. მაგრამ ამ საკითხის ირგვლივ მკვლელობის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს ის ფაქტი, რომ რელიეფებზე ფორმა „კიდურწაისრული“ ასოებისა უკვე ჩანს ამოტკეპრბალატის კტიტორულ რელიეფში თბილისში, მადაც ჩემი აზრით, გამოსახულია არა ამოტკეპრბალატის, არამედ ამოტკეპრბალატის უფრო მეტად კი ეს „კიდურწაისრული“ ნიშნები მკლავნდება მ. შარის მიერ ბანძთაში მოკვლეულ ორი ფრაგმენტისაგან შემდგარ წარწერაში, რომელშიც დავით დიდი კურბალატის წოდებით ესვენება და ანტიკომიტ იგი 978—1001 წლებით თარიღდება⁷. ეს ნაგალიობიც რომ უგულვებელდგეთ, არ შეიძლება შთელი სიცხადით არ დავინახოთ, ოსტატის ოსტატის ბრწყინვალე პაროვნება, როგორც სწორუპოვარი ხელოვანისა და დაუღალავი ნოვატორისა, რაც მკლავნდება როგორც ტაძრის ხუროთმოძღვრულ აღნაგობაში, ისე რელიეფების შესრულებაში. ის უნდა ყოფილიყო კლასიკური ხელოვნების ძველებს ან ამ ძველების გაკლენით შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებების ჩინებული მკლავნე და, შესაძლებელია, ერთ ხანს კონსტანტინეპოლის საიმპერატორო სახელოსნოშიც მოღვაწეობდა. იმან, რომ

⁶ ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმკლავნება ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1926, გვ. 122—123.

⁷ W. Djobadze, The Georgian Churches of Tao-Klarjet's. Construction Methods and Materials, Op. 62, 1978, Fig. 13. ი. ივრიყე ხ. შოშიაშვილს მოსახრება იმ საკითხის შესახებ. ქართული წარწერების კორპუსი 1. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.), თბი., 1983, გვ. 255—257.

⁸ ამოტკეპრბალატის ვინაობის საკითხი განხილულია ჩემ მიერ გამოსაცემად მომზადებულ მონოგრაფიაში, რომელიც ტაო-კლარჯეთ-შაქსეთის მონასტრებს ეძღვნება.

⁹ Н. Марр, Древний псефос в Шавшетию и Кларджетско, 1911, с. 202, рис. 64.

ვედრების ფიგურების ზემოთ მოთავსებული წითელი საღებავით შესრულებული წარწერები „ტყუბწვეტოვან“ წერის მანერას არ ამჟღავნებენ, ანდა იმან, რომ იქვე, სარკმლის თავზე ამოკვეთილ ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ წარწერაში არ არის გამოყენებული „ტყუბწვეტოვანი“ სტილი, არ უნდა დაგვაბრკოლოს მაცხოვრის ფესთან გადარჩენილი ორი ასო და ამრიგად აწ გადარეცხილი წარწერა მთლიანად X საუკუნის სამოციანი წლებით დაფიქსირებული აშკარაა (ასეც არის სავარაუდებელი), რომ წარწერები სხვადასხვა ქრისტიანების მიერ არის შესრულებული. ყოველ მათგანს აქვს საკუთარი ტრადიცია და სხვებთან დაახლოებული ან განსხვავებული წერის მანერა, თუ სტილი. ისინი არ იყვნენ სტანდარტული ნორმების მიმდევარნი, არამედ თავისუფალი, პიროვნული შემოქმედებითი ენის მქონე ხელოვანნი, თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა ვიხმართ. ამგვარივე სურათს ვხვდავთ ხელოვნების სხვა დარგებშიც.

შუა საუკუნეებში, ისევე როგორც ადრექრისტიანულ ხანაში, სხვადასხვა ტრადიციისა და ხარისხის ხელოვანნი მოღვაწეობდნენ; ზოგნი — თავის საქმეში გაწაფულნი (პროფესიონალები), სხვანი — მხოლოდ მოხალისენი, ნაკლებად დახელოვნებული ბერები, დოლისყანელი დიაკვნის გაბრიელის, ან სირიის მონასტრებში მომქმნელი ბერების მსგავსნი, რომელნიც, სახსრების უქონლობის ან სხვა დამაბრკოლებელი მიზეზების გამო, ადვილად კისრულობდნენ ეკლესიის კედლების რელიეფებით მორთვას ან თვით ეკლესიის შენების მძიმე ტვირთს. ეს არის ერთი მიზეზთაგანი ეპიგრაფიკის თუ სკულპტურის ძეგლების სტილისტური ნაირსახეობისა, რაც სამთავროებად დაქუცმაცებულ ტაო-კლარჯეთ-შავშეთში მოსალოდნელი და უფრო შესამჩნევია. ამის ნათელსაყოფად საკმარისია თუნდაც დოლისყანის სამხრეთი ფასადის რელიეფებისა და მისგან სულ რაღაც ათიოდე წლით დაშორებული ოშკის ვედრების რელიეფების სტილისტური შედარება. პირველში გადმოცემულია უაღრესად სქენატური, არასისაგან დაცლილი გარსი სხეულისა, მეორე კი წარმოადგენს პროპორციულ და პლასტიკურად გამოკვეთილ ფიგურებს. სწორედ ეს კონტრასტი უნდა პქონოდა მხედველობაში ბატონ გიორგი ჩუბინაშვილს¹⁰, როდესაც ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის ტაო-კლარჯეთის მონასტრებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის ვანხილვის დროს

¹⁰ W. Djobadze, Op. cit, pp. 128—134. Ars georgica, 5, თბილისი, 1959, გვ. 258.

ბრძანა, რომ ოშკის ეკლესია 958—961 წლებზე გაცილებით გვიან, დიდი შესვენების შემდეგ უნდა აშენებულიყო. მოკლედ (თუ არ ვაქარბებ), ჩვენთვის უცნობი ოშკის ავტორიტეტული ხელოვანი თავის საუკუნეს წინ უსწრებდა. მის მიერ შექმნილი ნაწარმოები წარმოადგენდა ღირსეულ გამოვლენას დიდი იმედების მომცემი ხანისა, როდესაც მოღვაწეობდა „დიდი დავითი“, „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი“.

ვედრების მეორე ნიმუში, მოთავსებული სვეტის ნიშაში, არასრულია. იგი შეიცავს იმავე კტიტორთა ნახევარფიგურებს და მათ შუამავლებს (ღვთისმშობელი — დავითთან და წინამორბედი — ბაგრატიან), რომლებიც ფიზიკურად არ ჩანან, მაგრამ მათი სახელები წარწერებში სახელობით ბრუნვაშია მოხსენებული. თითოეულ კტიტორს თან ახლავს ვედრების ტექსტი, რომელიც წინა მაგალითში მოყვანილი (დავითისა და ბაგრატის) წარწერების იდენტურია.

დავითისა:

წმიდაა ღმრთისმშობელი.

მონაა ღმრთისა დავით მაგისტროსი, მაშენებელი წმიდისა ამის საყდრისა აღიდენ ღმერთმან, ამენ.

ბაგრატიისა:

წმიდაა ნათლისმცემელი.

მეფე ჩუენი ბაგრატი ერისთავთა ერისთავი, მაშენებელი წმიდისა ამის საყდრის, ქრისტე, აღიდენ, ამენ¹¹

ნიშის შუაგულში დახატული ქრისტეს ფრაგმენტული გამოსახულება თეთრი საღებავით დაუფარავთ.

„დიდი“ ვედრების მესამე ნიმუში ამოკვეთილია სამხრეთ გალერეის დასავლეთ კიდეში მოთავსებულ რვაწახნაგა სვეტზე¹². საძირითავარი ფიგურა წარმოდგენილია ფეხზე მდგომარედ, მკაცრ ფრონტალურ პოზიაში. მაცხოვარსა და ღვთისმშობელს მარცხენა ხელით უჭირავთ გაშლილი გრაგნილები, რომლებიც მათ ფეხის წვერებამდე აღწევენ, ხოლო წინამორბედი ქრისტესკენ ხელეზგაწვდილი დგას, მაგრამ უგრაგნილოდ. ეს უჩვეულო სცენა, სავარაუდოდ, ასე შეიძლება

¹¹ Djobadze, op. cit., 54 f.

¹² გარგი ფოტოები (დ. უინფილდის) და სვეტის რვავე წახნაგის ზუსტი სქემები (გ. უინფილდის) გამოაქვეყნა დ. უინფილდმა სტატიაში: Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey. Journal of Warburg Institute, 31, 1968, 45—57.




 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

სურ. 4. თბილისში, სამხრეთი გარეუბლის სვეტიცხოვლის მონასტრის წინააღმდეგობის
 და უაღრესესი სვეტიცხოვლის სვეტიცხოვლის სვეტიცხოვლის სვეტიცხოვლის სვეტიცხოვლის

აიხსნას: წინამორბედის საშუამავლო ვედრება და მისი ლოცვა უკვე ისმინა მაცხოვარმა, რომელსაც მარჯვენა კურთხევის ნიშნად აქვს აღმართული. ამ მოსაზრებას ადასტურებს პატარა მუხლმოყრილი ფიგურა — გრივოლი, გამოსახული წინამორბედის ფეხქვეშ ზეაწეული ხელებით. ვედრებაში მონაწილეობას იღებენ ზეციური ძალები: ნათივარანჯელოზები, სერაფიმები, ტეტრამორფები, ქერუბიმები და წმინდანები. საქართველოს განმანათლებელი წმ. ნინო და წმ. სვიმეონ მესვეტე უმცროსი, ქართული სამონასტრო მშენებლობის პროტოტიპი, წარმოდგენილი არიან ორანთის სახით. ამას ემატება ცნობილი მკვლევართა — წმ. კოხშიძის და წმ. დამიანეს დიდი ზომის ბიუსტება, რომელთაც მარჯვენა ხელში უჭირავთ ტრადიციული ზონდები, ხოლო მარცხენაში — წამლიანი ჭილები. ამ გამოსახულებათა უნდა ვვლესობას, რომელნიც მოთავსებული არიან კაპიტულზე ვედრების ზემოთ, მიმართავენ ლიტურგიის შესრულებისას დიდი სავედრებელი ლოცვის დროს, რომელიც შედის პროსკომიდიაში¹³ და ამდენად, დაკავშირებულია ვედრებასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სავედრებელი ლოცვა წარწერილია ოშკის ეკლესიის სამხრეთი მკლავის გარე კედელზე (იესე ქრისტე, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაათა და წმიდისა იოფანე ნათლისმცემელისაათა და წმიდისა ძელისა ცხორებისაათა და ყოველთა წმიდათაათა აღიდენ მეფენი, ჩუენნი...), ხოლო ზეორე კტიტორული წარწერა მოთავსებულია სამხრეთი კარის ტიშანზე¹⁴.

თავდაპირველად, ვედრებაში შემაჯავლ ყველა ფიგურას თან ახლდა ქართული მრველოვანი წარწერები. ზოგიერთი მათგანი დღესაც იკითხება. გრივოლის ვედრების ლოცვა კა, წარწერილი გაშლილ გრაფიკულზე, რომელიც ქრისტეს უკავია ხელში, მთლიანადაა წამლილი, არადა ეს წარწერა დამატებით ინფორმაციას მოგვცემდა ვედრების ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით.

ამ მხრივ უკეთესი ინფორმაციაა მეოთხე ვედრების განმარტების ლეალსაზრისით, რომელიც გამოსახულია ეკლესიის სამხრეთ მკლავში 1036 წელს. კედლის მბატვრობის ეს ფრაგმენტი პირველად

¹³ F. E. Brightman, *Liturgies Eastern and Western*, 1, *Eastern Liturgies*, Oxford, 1896, 544, 545. ლიტურგიული ტექსტის მნიშვნელობისათვის ვედრების ჩამოყვანებებში იხილეთ: Н. Мисаишвиц, *Православное искусство Византии, южной Италии и Руси*, Заманა, Европа, Восток В. Н. Назарев, 1973, 61.

¹⁴ W. Djolbadze, *The Georgian Churches of Tao—Klarjeti. Construction Methods and Materials (IX to X Century)*, *Or. chr.*, 62, 1972, 126 f.

გამოქვეყნდა 1988 წელს. ჩვენ იგი შევისწავლეთ და აღწერეთ 1983 წლის 14 სექტემბერს. მას შემდეგ, რაც მოხსნეს სამხრეთის მკლავში ჩამწებული ჯამე და გამოჩნდა მხატვრობის ვიწრო ზოლი. ვედრება შედგება სამი ძირითადი ფიგურისაგან (ქრისტეს გვერდით უდგანან ღვთისმშობელი და წინამორბედი), იგი მოთავსებულია სამხრეთი მკლავში შესასვლელი კარის ზემოთ და ორი სარკმლითაა ფლანკირებული.

თავიდან ვედრება უფრო მეტ ფიგურას შეიცავდა — ზნეობითი მათგანი — ზემოთ გამოსახული ანგელოზი, შემოქმედის მკლავში და ქერუბიმი გვერდით სარკმელთა წირთხლში — ნახა და მოკლედ აღწერა ექვითმე თაყაიშვილმა 1917 წ¹⁵. ამჟამად ისინი ან სრულიად გამქრალი არიან, ან ისე არიან დაზიანებული, რომ მათი ამოცნობა შეუძლებელია. ცენტრალური ვედრებიდან მხოლოდ შუა ნაწილია შემორჩენილი, მაშინ როდესაც, ფიგურების მხრების ზემოთ მხატვრობა ჩამოტეხილია, ხოლო მუხლებს ქვემოთ — თეთრი საღებავის სქელი ფენითაა დაფარული.

აქაც, ისევე როგორც ამ სტატიაში განხილულ სხვა მაგალითებში, მხატვარი მისდევს კანონიკურ სქემას: ღვთისმშობელი მოთავსებულია ქრისტეს მარჯვნივ, რადგან ლიტურგიის¹⁶ შესრულებისას პირველად მას მიმართავენ ხოლმე ვედრების ლოცვით, ხოლო წინამორბედი ქრისტეს მარცხნივაა გამოსახული¹⁷. ორივეს ქრისტესკენ აქვთ გაწვდილი ხელები ვედრების ნიშნად, ისევე როგორც წინა მაგალითში. მაგრამ, რადგანაც ოშკის ეკლესია აშენებულია წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელზე, ქრისტეს იგი მიმართავს ვედრებით და არა ღვთისმშობელი. ეს დასტურდება ქართული მრგვლოვანი წარწერით გრაგნილზე, რომელიც ქრისტეს უკავია. ამ წარწერის პირველი ორი სტრიქონი ნაწილობრივ იკითხება, ხოლო დანარჩენი რვა სტრიქონი საკმაოდ კარგად გაიბრუნება¹⁸, აქ ვკითხულობთ:

კრ(ა)ვო ღ(მრ)თის (ა)ო*

¹⁵ ექსპედიცია, 44, ტაბ. 61, 62.

¹⁶ F. E. Brightman, op. cit. 357, 388, 406.

¹⁷ ყ ქობაძის აზრით, ეს ფიგურა მოგვიანებით გადაწერეს და კოჭავის გამოსახულებით შეცვალეს; კერძოდ, მას სამოქალაქო თევზაბურავი დაადგეს. ამგვარი მაგალითები გვაქვს ბიზანტიის მხატვრობაში (რედაქტორის შენიშვნა).

¹⁸ შინდა მადლობა გადავეხადო პროფ. ა. შანიძეს (თბილისის უნივერსიტეტიდან), რომელმაც პატივი დამლო და შეასწორა ჩემი წაკითხვა 1984 წლის 19 ივნისის წერილში.

ს(ო)ფლი(თ) ცოდვათა ამხ(უ)შელო,
 გ(ე)ვ(ე)დრ(ე)ბი ვ(ითარც)ა
 წ(ი)ნ(ა)მ(ო)რბ(ე)დი და მე-
 გ(თ)ბ(ა)რი, ახილე უძლ-
 ურ(ე)ბ(ა)ჲ გ(ო)ნ(ე)ბ(ი)ს(ა)ჲ, რ(ომელ)იც-
 ა შ(ეი)მოსე: ულხინე



მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თა ვ(ითარც)ა ღ(მრ)თ(ი)ს მ(შო...)

ამ არასრული წარწერიდან ჩანს, რომ წინამორბედის შტამავალი ისევე როგორც რვაწახნაგა სვეტის კომპოზიციის შემსრავლებელმა გამოსახული ვედრების ტექსტით კი არ მიმართავენ მაცხოვარს, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ამ ვედრებამ უკვე მიაღწია მას. ვედრებაში წინამორბედის პრივილეგირებული მდგომარეობა შეიძლება აიხსნას არა მარტო იმით, რომ იგი იყო ქრისტეს წინამორბედი და ახლო ნათესავი, მისი ოჯახის წევრი¹⁹, არამედ იმ ფაქტითაც, რომ წმ. იოანე არის ის წმინდანი, რომლის სახელსაც ეძღვნება ეს ეკლესია. ეს მომენტები, ხაზგასმით აღნიშნული მოცემულ წარწერაში, მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს ვედრების პროცესში.

ამავე დროს ვედრების ეს ტექსტი წარმოადგენს ბერძნული ტერმინის ბέησιჯ-ის ქართულ ეკვივალენტს (ვედრება). სამწუხაროდ, ტექსტში არ არის გამოყვანილი მომნახილებელი ობიექტი, მაგრამ მინიშნებულია, რომ იგი შეიძლება იყოს ისტორიული პირი. ამას გვაფიქრებინებს წარწერის მეექვსე და მეშვიდე სტრიქონები, სადაც ლაპარაკია ადამიანის გონების უძღურებაზე და აგრეთვე ვედრების თრივე მხარეს გამოსახული ორი სავარაუდოდ მონათესავე კომპოზიცია: მარჯვენა (აღმოსავლეთ) მხარეს ახალგაზრდა, წარავანდით მოსილი ქრისტე ჯვარზე ვასაკრავად მიჰყავს ორ რომაელ ჯარისკაცს, ერთს შუბი უპყრია ხელთ, მეორეს — გრძელ ჯოხზე ჩამოცმული ღრუბელი. ქრისტეს არ მიაქვს ჯვარი, რომლის ტარება აიძულებს გამვლელს, სვიმეონ კვირინელს (მათე 27, 32; მარკოზი 15, 21; ლუკა 23, 26). „და შეუდგა მას სიმრავლე ერისა და დედებისა, რომელნი ეტყოდეს და სტიროდეს მას“ (ლუკა 23, 27). ისინი ნელგარე, ცო-

* პირველი სტრიქონი წაერთვება ეკლესიის ზ. სხობლოძეს, იმ. N. Thierry, Peintures historiques d'Oskil (T'ao). Revue des études géorgiennes et caucasiennes, № 2 Paris, 1986, p. 136, n. 31. (რედაქტორის შენიშვნა).

¹⁹ E. Kantorowicz, Ivories and Litanies. J. Warb., 5, 1947, 71 ff., S. Der Nersesian. Two Images of the Virgin in the Dumbarton Oaks Collection. Dumbarton Oaks Papers, 14, 1960, 75 f., Ch. Walter, op. cit., 327.

ცხელი ექსტიკულაციით არიან წარმოდგენილი და მიემართებიან გალი-
ვანშემოვლებული ქალაქის — იერუსალიმის — ჭიშკრიდან, რომელიც
ნაწილობრივ გაიჩრება უკანა პლანზე. ვედრების მარცხენა (დასავლეთ)
მხარეს გამოსახულია მიმაჯატებს ორი ჯგუფი, გამოყოფილი ერთ-
მანეთისაგან ვერტიკალური ხაზით. თავება მათ მარცხენა აქვთ მი-
ბრუნებული, ჩანს სხეულ არიან ქვევლი და მიმართებიან ჩაღვას,
რისი გარკვევაც უკვე შეუძლებელია, რადგან მსატყობა სრულიად
ჩამოსვლილია. მიმაჯატები ერთმანეთისაგან განსაკუთრებით მარ-
ტო-თმის ვარცხნილობით, წვერითა და საბის ნაჭკუებით, არამედ
სამოსის ფერებითაც, რაც მოგვანიშნებს მსატყობის ცდაზე ინდივი-
დუალური გამომეტყველება-მიანიჭოს თითოეულს.

მარჯვენა ჯგუფის თავზე ჩანს სამსიფესტრიან ბაქანზე აღმართუ-
ლი ცენტრალური გეგმის წრიული ნაგებობა. მისი გარე კედლები და-
ნაწიერებულია თანაბრად განლაგებული დეკორატიული თაღების
შუშვებით რიგით, თაღები კაპიტელებითა და ბაზებზე გაფორმებულ
სვეტებს ეყრდნობა, თითოეულ თაღში თაღოვანი მობაზულობის
სარკმელია გაჭრილი. დეკორატიულ თაღებს ზემოთ სახტრავი უნდა
ყოფილიყო. შენობის შუაში დია კარიბჭეა, რომლის ორქანობიანი
სახტრავი ღარიანი კრანტითა დაფარული. კარიბჭის ფრონტონი და
თალი ისეთივე ფორმის სვეტებს ეყრდნობა, როგორც შენობის გარე
კედელზეა მოცემული. მეორე მსგავსი კარიბჭე მარცხენა მხარესაა.
მოპირდაპირე, მარჯვენა მხარეს, რომელიც შეიძლება ტაძრის სამხ-
რეთ ფაადიდ მივიანით, არის მიღალი, უაწრო კოშკასებური, ალბათ
თრსარათულიანი შენობა. ქვედა სართულში ერთმანეთის ზემოთ ორი
სარკმელია მოთავსებული, ხოლო ზედა სართულზე ოთხი პატარა სარ-
კმელი და დიდი სახტრავია (?) მოცემული.

ყველა აღნიშნული ნიშანი ბანის საკათედრო ტაძარს იხასიათებს²⁰.
წარმოდგენილი შენობა რომ მართლაც ბანია, დასტურდება გამოსა-
ბულებას ქვემოთ მოთავსებული არსებული ერთსტრიქონიანი კარ-
თული წარწერით. ეს შესახებნავე ტაძარი²¹, რომელიც აგებულია მეფე

²⁰ შემორჩენილი კედლები მოგვანიშნებს, რომ კარიბჭის ინტერიერი უნდა
ყოფილიყო დაახლ. 4 კვ. მ. კარი, რომელიც მე გავიხიე 1968 წელს და რომელსაც
შეეჯერათ ტაძარში 2 მ სივანისაა.

²¹ კოხი, რომელიც ტაძარს ეწვია ვერ აღგე მამინ, როდესაც იგი კარგად
იყო შეკონსერვებული, აღნიშნავს, რომ აღდაიღო უმშვენიერესი და უშესანიშნავესია
მათ შორის, რაც ეს ნიშნავს ნათეს აღნიშნულთა ზელოვნებაში (კონსტანტი-
ნებოლის გამოცემათ). *Beise im Pontischen, galatye und hirkischen Armenien*,
II, weimar, 1846, 243.

ადარნასეს მიერ 881—923 წლებში, წარმოადგენს ტეტრაკონქს წრიული, ორსართულიანი გარშემოსავლელით. ბანა იყო არა მარტო საეპისკოპოსო კათედრა, არამედ კულტურული ცენტრიც და ტაოს მმართველთა ძლიერების საყრდენი. ბევრმა მათგანმა აქ პოვა განსასვენებელი. სამწუხაროდ, ტაძრის ზედა ნაწილი და მისი გუმბათი, რომლის რეკონსტრუქცია ხელოვნებათმცოდნეთა კამათის საგანია, ჩვენს ნახატზე სრულიად წაშლილია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია აღვადგინოთ ტაძრის ქვედა ნაწილი, სახელდობრ, ბაქანის დედაკლეთი და ჩრილოეთი კარიბჭეები, რომლებიც საოცრად გვანან ოშკის სამხრეთი მკლავის კარიბჭეს, და განსაკუთრებით სამხრეთი კარიბჭე, მისი რთული კომპლექსური სტრუქტურით.

ამ არასრული წარწერიდან ვგებულობთ:

ბანასა ეკლესი(ა) დამ...

წინადადების დარჩენილი ნაწილი, სამწუხაროდ, თეთრი საღებავის ქვეშაა მოქცეული. წარწერა, ალბათ, მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევდა იმის გასაგებად, თუ რატომ იყო ბანას ტაძარი აქ გამოსახული. თუმცა შემორჩენილი ნაწილის მიხედვითაც კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წარმოდგენილი იყო რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენის ამსახველი სცენა, მაგრამ კერძოდ რა სცენა იყო და შეადგენდა თუ არა ვედრების გვერდით გამოსახული ორი კომპოზიცია ამ უკანასკნელის ნაწილს, ამ კითხვებს შეიძლება პასუხი გაეცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩამოიფხიკება თეთრი საღებავი. რესტავრაციის შედეგად აღდგებოდა არა მხოლოდ წარწერები (მათ შორის გრაგნილზე გამოსახული ვედრების წარწერაც), არამედ, ალბათ, ქართველი არისტოკრატის პატრიკოს ჯოჯიკის გამოსახულებაც, რომელმაც 1036 წ. მთლიანად მოახატვინა ოშკის ეკლესიის ინტერიერი²²

ვვარაუდობთ, რომ ოშკის სამხრეთ მკლავში გამოსახულ ეპიზოდში შეიძლება ასახული იყოს 1021—1022 და 1027—1028 წლების დაუვიწყარი და სავალალო მოვლენები, როცა ქართველებმა დამარცხება განიცადეს ბიზანტიასთან ბრძოლისას ტაოში, აქედან გამომდინარე დამღუპველი შედეგით.

²² მოხსენებულია ქართულ მრგვლოვან წარწერაში, რომელიც შემონახულია ოშკის ეკლესიის აბსიდში (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ექსპედიცია, 56—58).

ასევე შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკათედრო ტაძრის ქვეშით
გამოსახული საზეიმო პროცესია მიგვანიშნებს საქართველოს ისტო-
რიის უფრო სასიამოვნო მოვლენებზე: ბაგრატ IV-ის მეფედ კურთხე-
ვაზე (1027 წ.), ან მის ქორწინებაზე ბიზანტიის იმპერატორის ბასილი
II-ის ძმისწულზე (1032 წ.), რადგან მეფედ კურთხევა და ქორწი-
ნებაც ბანას ტაძარში შედგა.




ტაბულების აღწერილობა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. ოშკის ტაძარი. (963—973 წწ.) სამხრეთი ფასადი.
2. ოშკი. ვედრების კომპოზიცია. სამხრეთ ფასადზე.
3. ოშკი. ვედრების კომპოზიცია. ღვთისმშობელი.
4. ოშკი. ვედრების კომპოზიცია. დავით მაგისტროსის გამოსახულება.
5. ოშკი. ვედრების კომპოზიცია. ბაგრატ ერისთავთერისთავის გამოსახულება.
6. ოშკი. ვედრების კომპოზიცია. დავით მაგისტროსის გამოსახულება (ვ. ჯობაძის რეკონსტრუქცია).
7. ოშკი. ვედრების კომპოზიცია. ბაგრატ ერისთავთერისთავის გამოსახულება (ვ. ჯობაძის რეკონსტრუქცია).
- 8₁. ოშკი სამხრეთ-დასავლეთი გუმბათქვეშა ბურჯის ნიშა. კტიტორთა გამოსახულებანი.
- 8₂ ოშკი. ფილა სამშენებლო წარწერით.
9. ოშკი. სამხრეთ გალერეის სვეტი. ვედრება და გრიგოლის გამოსახულება.
10. ოშკი. ფრესკული წარწერა ქრისტეს გრაგნილზე.
11. ოშკი. ბანას ტაძრის გამოსახულება ფრესკაზე.
12. ოშკი. ბანას ტაძრის გამოსახულება ფრესკაზე.



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

1913





ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆՈՇԱՐԱՐՈՒՄՆԵՐ






UNIVERSITY OF CHICAGO
LIBRARY








УРАТОН
УРАТОН




სამეცნიერო
ბიბლიოთეკა









 ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
 ԳՆԱԾՆԱԳՐԱԿԱՆԱԿՈՒԹՅՈՒՆ





შინაარსი

ნ. ალადაშვილი. ვახტანგ ჯობაძე — საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ისტორის მკვლევარი	3
ვ. ჯობაძე. კტიტორების რელიეფები და ოშკის ეკლესიის დათარიღება (თარგმნა ნ. ზაალიშვილმა)	15
ვ. ჯობაძე. ვედრების ოთხი თემა ოშკის ტაძრში (თარგმნა თ. ებანოიძემ)	54
ტაბულების აღწერილობა	66

Джобадзе Вахтанг Николаевич
ОШКСКИЙ СОБОР

«ТБИЛИСИ»
«МЕЦНИЕРЕБА»
1991

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4678

გამომცემლობის რედაქტორი ე. თოდუა
მხატვარი გ. ლომიძე
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. შაბურიშვილი
გამომწვევი ი. სახვაძე

გადაეცა წარმოებას 15.10.1991; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.11.91 წ.;
ქაღალდის ზომა 60x84¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 4.65;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4.19;
ტირაჟი 1500; შეკვეთა № 947;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

20

051/1260





წიგნიანობის
სახელმწიფო